პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი,
12
აგვისტო
1935 წ.
№ 187 (4343)

დღეს ნომერში

— მეთამბაქოეთა ღირსების საქმე (მეთაური).
— სერიოზული გაკვეთილი პროფკავშირებისათვის („პრავდის" მეთაური).
— თეთრგვარდიელთაგან ჩრდილოეთ - ოსეთის განთავისუფლების 15 წლისთავი.
— კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი.
— ამხ. ბერიას მოხსენების ღრმად შესწავლისათვის.
— კ. ბუჯიაშვილი. — ხულო წინათ და ახლა (ფელეტონი).
— სევ. აროზელიძე. — პირველხარისხოვანი ბოსტნეულით მშრომელთა სუფრას.
— ვემზადებით ავიაციის დღისათვის.
— საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთამბაქოეთა ღირსების საქმე

მეთამბაქოობა საქართველოსა და აფხაზეთში ინტენსიურად ვითარდება. გასულ წელს თამბაქოს პლანტაციებს ჩვენში ეჭირა 19.000 ჰექტარი. მიმდინარე წელს ეს ფართობი თითქმის არ გადიდებულა, მოსავალი კი მიღებულ უნდა იქნას **დაახლოებით 2500 ტონით უფრო მეტი ვიდრე შარშან.**

ეს მოწმობს თუ როგორ **გაუმჯობესდა** უკანასკნელ წლებში თამბაქოს ნიადაგის დამუშავება, პლანტაციების მოვლა და მეთამბაქოეთა მომსახურება. თამბაქოს კულტურის მოსავლიანობის ზრდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სისტემატურად განმტკიცების მაჩვენებელია.

წელს მეთამბაქოობაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვების მიზნით **საქართველო ეჯიბრება აზოვ-შავიზღვის მხარეს.** სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით, რომელიც უკვე გაფორმებულია, ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება — **სანიმუშოდ მოვუაროთ პლანტაციებს, უდანაკარგოდ ავიღოთ თამბაქოს მოსავალი, მტკიცედ დავიცვათ სტანდარტი და ვადაზე შევასრულოთ სახელმწიფოსათვის თამბაქოს პროდუქციის ჩაბარების გეგმა.**

არ არსებობს არავითარი ობიექტური პირობა, რომელსაც შეეძლოს ჩვენში თამბაქოს დავალებათა შესრულების სერიოზულად შეფერხება. წელს პლანტაციები გაშენდა საუკეთესო სანერგე მასალით, ნიადაგი მომზადდა დროზე, გათოხნა-დამუშავებაც დამთავრდა დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში, ჰავაც ხელს უწყობს პლანტაციების განვითარებას. ყოველივე ეს კი უზრუნველჰყოფს თამბაქოს უხვი და ღირსებით ძვირფასი პროდუქციის მიღებას.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ **როგორ** დავიცავთ პლანტაციებს მავნებლებისაგან, **როგორ** მოვაწყობთ თამბაქოს შეტეხვას, ანემსვას, გაშრობას და გადამუშავებას საფერმენტაციო ქარხნებში.

თამბაქოს მოსავალს კარგი პირი უჩანს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში. ეს გვავალებს პირველ რიგში **განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ თამბაქოს შეტეხვას მისი ტექნიკური სიმწიფის მომენტში და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ფოთლის გადაბერება - გადაწვა შეტეხვის დაგვიანებით.**

შეტეხვის მიმდინარეობა კი ჯერჯერობით ვერ არის დამაკმაყოფილებელი. პირველი შეტეხვის ვადა 5 აგვისტოს ამოიწურა. სათანადო გეგმა კი შესრულებულია 70,4 პროცენტით. მეორე შეტეხვა 15 აგვისტოს უნდა დამთავრდეს, ამ დროის გეგმის შესრულება კი 20 პროცენტს არ აღემატება.

ეს ჩამორჩენა მოწმობს, რომ თამბაქოს მოსავლის აღება ბევრგან რიგიანად არ არის მოწყობილი. ყურადღება არ ექცევა შეტეხვის ვადების დაცვას. ასეა მაგალითად **წალენჯიხისა** და **ზუგდიდის** რაიონებში, სადაც ჯერ პირველი შეტეხვა სანახევროდაც არ არის დამთავრებული.

თამბაქოს შეტეხვის დავალების ვადაზე შესრულება რომ სავსებით შესაძლებელი იყო, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონების მაგალითი. ამ რაიონებმა თავთავიანი მარცვლეულის მასობრივად აღებისა და ლეწვის პერიოდში შესძლეს თამბაქოს შეტეხვის გეგმის **გადაჭარბებით შესრულება.**

ცხადია ამ შემთხვევაში საქმეს სწყვეტს ორგანიზებულება, საქმის კონკრეტულად გაძღოლის უნარი, ძალების მართებული განაწილება და ცალკე სამუშაო პროცესების გაანგარიშებული დაგეგმვა და შეფარდება.

თამბაქოს დამზადების საკონტრაქტაციო პირობები წელს ჰქმნის უხვი და ხარისხოვანი მოსავლის მიღების მძლავრ სტიმულს. როდესაც სტიმულზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს პრემია - წანამატები, რომელიც კონტრაქტანტებს ეძლევათ, თამბაქოს გადიდებულ ფასთან ერთად, ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს. საჭიროა ამ პირობებს დაწვრილებით იცნობდეს ყველა კოლმეურნე, ყველა მეთამბაქოე.

სამი წელიწადია ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმას. თამბაქოს დამზადების მორიგი სეზონი კი ყოველმხრივ უფრო ხელსაყრელია, ვიდრე წინა წლები.

ორდენოსან საქართველოს და აფხაზეთის მშრომელებმა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უნდა შესძლონ არსებულ ხელსაყრელ გარემოებათა მთლიანად გამოყენება თამბაქოს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დამზადების გეგმების შესასრულებლად. ეს იქნება იმის უტყუარი გარანტია, რომ აზოვ-შავიზღვის მხარესთან სოცშეჯიბრებაში უეჭველად **ჩვენ** გამოვალთ გამარჯვებული.

ივანე პავლეს-ძე ტოვსტუხას დაკრძალვა

მოსკოვი, 10 აგვისტო. 10 აგვისტოს, ღამით, მოხდა ივანე პავლეს-ძე **ტოვსტუხას** ცხედრის კრემაცია. ხოლო დილიდან სსრკ-ის ცაკის შენობის დარბაზში, სადაც ცხედარი ასვენია, განახლდა მშრომელი მასების მსვლელობა.

ღრმად მდუმარენი ეთხოვებოდნენ ისინი განსვენებულ ბოლშევიკს, ლენინ-სტალინის პარტიის უდრეკ შვილს.

პოსტამენტზე აღმართულია ცოცხალი ყვავილებით მორთული ურნა. როგორც წინადღითაც, დარბაზში იმყოფებიან განსვენებულის ამხანაგები, მეგობრები და ახლობელი ნათესავები. ღამის განმავლობაში გვირგვინების რაოდენობა გადიდდა. აქ არის გვირგვინები—საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმისგან, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისგან, საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტებისგან, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისგან, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობისგან, „სამოქალაქო ომის ისტორიის" რედაქციის სამდივნოსგან, და სხვა ორგანიზაციებისაგან.

დარბაზში ნაშუადღევის 4 საათამდე განუწყვეტლივ მოდიან დედაქალაქის პროლეტარები.

საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში დგანან ამხ. **კაგანოვიჩი, კალინინი, ჩუბარი, ანდრეევი, ეჟოვი, სტეცკი, შკირიატოვი, ადორატსკი.** პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები უკანასკნელად ეთხოვებიან კომუნიზმის საქმისათვის ნაცად მებრძოლს.

4 საათსა და 50 წუთზე დარბაზიდან გვირგვინები გააქვთ, სამგლოვიარო მსვლელობა მიემართება წითელი მოედნისაკენ, კატაფალკი ურნით მიაქვთ ამხ. **კაგანოვიჩს, კალინინს, ჩუბარს, ანდრეევს, ეჟოვს, ხრუშჩოვს, სტეცკის, შკირიატოვს, უნშლიხტს, ადორატსკის.**

წითელ მოედანზე გამწკრივებულან ჯარები. დაბლა იხრება სამგლოვიარო დროშები

მოედანი დედაქალაქის პროლეტართა მრავალათასიანმა კოლონებმა აავსეს. ურნას მავზოლეის წინ სდგამენ. მავზოლეის მარცხენა ფრთაზე ადიან ამხ. **კაგანოვიჩი, კალინინი, ჩუბარი, ანდრეევი, ეჟოვი, ხრუშჩევი, სტეცკი, შკირიატოვი, კულკოვი, უნშლიხტი** და სხ.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის ამხ. **უნშლიხტი.** საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით სიტყვა ეძლევა ამხ. **სტეცკის.** მოედანს მდუმარება მოიცავს და ხმამაღლა გაისმის ამხ. **სტეცკის** სიტყვა განსვენებული ბოლშევიკის ნაცადი ლენინელის—ივანე პავლეს-ძე **ტოვსტუხას** შესახებ.

— იგი სიჭაბუკიდანვე ბრძოლაში იზრდებოდა და იბრძმედებოდა,—ამბობს ამხ. **სტეცკი.** 20 წლის ჭაბუკი იყო, რომ იგი დააპატიმრეს, სამართალში მისცეს და გადაასახლეს. მერე, ემიგრაციაში ყოფნის დროს, შედის ბოლშევიკურ პარტიაში და მას შემდეგ მთელი მისი ცხოვრება განუწყვეტლად დაკავშირებულია მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლასთან.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხ. ტოვსტუხა მუშაობს პარტიული და საბჭოთა მუშაობის მთელ რიგ პასუხსაგებ უბნებზე. ეროვნებათა სახალხო კომისარიატში ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით იგი ახორციელებს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. შემდეგ მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ შტაბში —ცენტრალურ კომიტეტში, იყო ამხ. სტალინის უახლოესი თანაშემწე, მთელ ძალღონეს და ნიჭს პარტიის საქმეს ანდომებდა.

— ჩვენ ზოგჯერ გვაკვირვებდა, — განაგრძობს ამხ. სტეცკი,—საიდან არის ამდენი ენერგია და ძალა ამ სუსტ სხეულში, რომელსაც ავადმყოფობა ღრღნიდა. ივანე პავლეს-ძე ტოვსტუხას აღაფრთოვანებდა ჩვენი პარტიის დიადი იდეა, კომუნიზმის იდეა, იმის მაგალითი, ვინც მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო, დიდი **სტალინის** მაგალითი. იგი იწვოდა მუშაობაში, იგი იყო სტალინური გამოწრთობის სტალინური სკოლის მებრძოლი.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო! შენი თვისებანი ბოლშევიკისა, შეურყეველი მებრძოლისა, უდრეკი ლენინელისა, ჩვენი დიდი **სტალინის** ერთგული თანაშემწისა ჩვენთვის ყოველთვის მაგალითი იქნება,—ამთავრებს სიტყვას ამხ. სტეცკი.

შემდეგ გამოდის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ადორატსკი.** იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ ტოვსტუხა იყო აგრეთვე დიდი მეცნიერი მუშაკი, რომელმაც დიდი შრომა გასწია ლენინის ნაწარმოებთა შესაგროვებლად და გამოსაცემად. ჯერ კიდევ 1921 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემის მომზადებაში, ხოლო შემდეგ დიდი როლი ითამაშა მეორე და მესამე გამოცემების მომზადებაში. გარდა ამისა, მრავალი წლის განმავლობაში ამხ. ტოვსტუხა მზრუნველი ხელით აგროვებდა **სტალინის** ყოველივე ნაწერს. გამოსაცემად ამზადებდა ამხანაგ **სტალინის** სტატიათა და სიტყვათა მთელ რიგ კრებულებს, რომლებიც ყოველი ბოლშევიკისათვის აუცილებელ წიგნს წარმოადგენენ. მთელ ამ მუშაობაში მან გვიჩვენა მაღალი კულტურა, რომ—იც ჩვენი მეცნიერი მუშაკებისათვის წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ უნდა გამოსცემდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს.

საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების სახელით გამოდის ამხ. **კულკოვი.** იგი ხაზს უსვამს განსვენებულის დამსახურებას პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარ გადახვევასთან ბრძოლაში.

— მოსკოვის ბოლშევიკები, — ამბობს ამხ. კულკოვი,—თავის დროშებს მხრიან ი. პ. ტოვსტუხას ცხედრის წინაშე.

ამხ. უნშლიხტი მიტინგს დახურულად აცხადებს. პოლიტბიუროს და მთავრობის წევრები ჩამოდიან მავზოლეის ტრიბუნიდან. კრემლის კედელთან ურნა მიაქვთ ამხ. **კაგანოვიჩს, კალინინს, ჩუბარს, ანდრეევს, ეჟოვს, ხრუშჩევს, სტეცკის, შკირიატოვს, აკულოვს, ადორატსკის.**

კრემლის კედელში გამზადებულია თარო. მის წინ ჩერდება სამგლოვიარო პროცესია. ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი** პოსტამენტიდან იღებს ურნას და დგამს თაროზე. საღამოს 5 საათსა და 25 წუთზე ურნა ჩაჰკირეს. სამგლოვიარო მარშს სცვლის დიადი „ინტერნაციონალის" ხმა.

გრიალებს გამოსათხოვარი სალუტი.

ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი

ლენინგრადი, 10 აგვისტო. კონგრესის საქმიანი მუშაობა გაჩაღებულია. 9 აგვისტოს საღამოს და დღევანდელ დილას სწარმოებდა სექციური სხდომები. ვიბორგის კულტურის სახლში მუშაობდა 5 სექცია: ნერვიულ - ჰუმორალური რეგულაციის, ცენტრალური ნერვული სისტემისა, უჯრედთა პროცესების ქიმიური დინამიკისა კუნთებში, შინაგანი სეკრეციისა და უჯრედის ფიზიოლოგიისა. (ადს).

ლენინგრადი, 10 აგვისტო. გუშინ, ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის სასექციო მეცადინეობის პირველ დღეს, ყველა აუდიტორიაში გამოდიოდნენ მოხსენებებით. უცხოელი — საბჭოთა მეცნიერები. 6 საათი სრულდებოდა როდესაც ვიბორგის კულტურის სახლში, სადაც სექციათა სხდომა მიმდინარეობს, მოვიდა კონგრესის პრეზიდენტი — აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი.

ვიბორგის კულტურის სახლი კეთილმოწყობითა და სილამაზით განცვიფრებას იწვევს უცხოელებში (ადს).

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

10 აგვისტოს დილის სხდომის დღიური

მეექვსე დღეა გრძელდება კამათი ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო. ილაპარაკა 58 დელეგატმა. ისინი ერთსულოვნად იზიარებენ ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ამოცანებს, რომლებიც აღნიშნულია მოხსენებაში, და ცალკეული ქვეყნების კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით, ავითარებენ ამხ. დიმიტროვის მიერ წამოყენებულ დებულებებს. დღეს გამოსული დელეგატებიც აღნიშნავენ ამხ. დიმიტროვის ისტორიული მოხსენების უდიდეს მნიშვნელობას, სავსებით ეთანხმებიან მას და იღებენ მოხსენებიდან გამომდინარე დასკვნებს.

დილის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. **ბრაუდერი,** იწყება რუმინეთის კომპარტიის დელეგატის ამხ. **ორდელიანის** სიტყვით.

რუმინეთის კომუნისტურმა პარტიამ, — აღნიშნავს ამხ. ორდელიანი, — ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა, რომ დახმარებოდა ფაშიზმისადმი მტრულად განწყობილ მასებს ერთიან ფრონტში დარაზმულიყვნენ. სუსტად მუშაობს პარტია სოფლად. რუმინეთის კომკავშირმა შესძლო მასობრივი დემონსტრაციების მოწყობა ტერორის წინააღმდეგ. მაგრამ ახალგაზრდობის დიდი მასები ჯერ კიდევ რჩებიან პარტიის გავლენის გარეთ, რადგან პარტია **ჯერ კიდევ** ვერ განკურნებულა სერიოზული ავადმყოფობისაგან—ახალგაზრდობის მნიშვნელობის შეუფასებლობისაგან.

რუმინეთის კომპარტიის დელეგატს ტრიბუნაზე სცვლის რემედასის კომფრაქციის წარმომადგენელი ამხ. **პიასეცკი.**

— თქვენ, ამხანაგებო, ყოფილხართ საპყრობილეებშიც და გადასახლებშიც,—მიმართავს იგი დელეგატებს. თქვენ მონაწილეობდით შიმშილობაში და განგიცდიათ წამება. თქვენ მშვენივრად იცით, თუ რამდენად აუცილებელია ახლა რემედასის მუშაობა. ამხ. პიასეცკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ რემედასის ორგანიზაციათა კომუნისტური ფრაქციები მთელ რიგ ქვეყნებში სათანადოდ ვერ აფასებენ იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ყველა ანტიფაშისტის ჩაბმას რევოლუციის მებრძოლთათვის დახმარების გაწევის საქმეში.

შემდეგ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნაზე პოლონეთისა და ბალტიკის ქვეყნებში სიტყვას ამბობს ამხ. **ბრონკოვსკი,** რომელსაც ტაშით ხვდებიან. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლონეთში არსებულ მდგომარეობას.

შემდგომი ფაშიზაციის წინააღმდეგ ა.-წ. ივნისს პოლონეთში მომხდარ გაფიცვებს, — ამბობს ამხ. ბრონკოვსკი, — ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ჰქონდა პარიზის პროლეტარიატის 9 თებერვლის დემონსტრაციას და საყოველთაო გაფიცვას საფრანგეთში გასული წლის 12 თებერვალს.

ამხ. ბრონკოვსკი ლაპარაკობს აგრეთვე სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნაზე ბალტიკის ქვეყნებში — ლატვიასა, ფინეთსა, ლიტვასა და ესტონეთში. ამხ. ბრონკოვსკი ახასიათებს კაპიტალისა და ფაშიზმის შეტევას ამ ქვეყნის მშრომელებზე; და **ხაზს უსვამს,** რომ ბალტიკის ქვეყნებში ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მასების მობილიზაციასა და **სახალხო ფრონტის** შექმნაში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ამ ქვეყანათა კომუნისტების თანმიმდევრულმა ბრძოლამ იქაური ბურჟუაზიის გერმანიის ფაშიზმთან შეთანხმების ცდების წინააღმდეგ, გერმანიის ფაშიზმის, აგრეთვე მისი მოკავშირის — პოლონეთის ფაშიზმის — იმპერიალისტურ **გეგმათა წინააღმდეგ,** რომელნიც საფრთხეს უქმნიან ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და ფინეთის ხალხთა ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

ჩვენ, — პოლონელ კომუნისტებს, — აცხადებს ამხ. ბრონკოვსკი, — შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბალტიკის ქვეყნების კომუნისტებთან ერთად ვიბრძოლებთ ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ბალტიკის ხალხთა დამოუკიდებლობას ემუქრება. ჩვენ გვწამს, რომ ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნების საუკეთესო გარანტიაა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკისათვის მხარის დაჭერა. ამხ. ბრონკოვსკის უკანასკნელ სიტყვებს ტაშით ხვდებიან.

ამხ. ბრონკოვსკის შემდეგ სიტყვა ეძლევა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგატს ამხ. **ზაპოტოცკის,** რომელსაც კონგრესი მხურვალე ოვაციას უმართავს. მთელ თავის სიტყვას ის ანდომებს პროფკავშირული ერთიანობის საკითხს ჩეხო-სლოვაკიაში, სადაც რეფორმისტულ პროფკავშირებთან ერთად არსებობენ წითელი პროფკავშირები; წითელ პროფკავშირებს,— ამბობს ამხ. ზაპოტოცკი,—ჯერ კიდევ ვერ დაუძლევიათ სექტანტობისა და წრეობანის სულისკვეთება. მიუხედავად პროფკავშირების გაერთიანების სიძნელეებისა ჩეხო-სლოვაკიაში, საჭიროა პირველ ადგილზე წამოვაყენოთ პროფკავშირთა ერთიანობის ლოზუნგი. არ უნდა ვუცადოთ საყოველთაო გამაერთიანებელ კონგრესს, — ამბობს ამხ. ზაპოტოცკი, — არამედ უნდა შევუდგეთ რეფორმისტული პროფკავშირებისა და მათი ორგანიზაციების გაერთიანებას წითელ პროფკავშირებთან იქ, სადაც ამისათვის საერთო ბრძოლებისა და გამოსვლების პროცესში ხელსაყრელი საფუძველი იქმნება. უნდა მივიღოთ ზომები, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ზაპოტოცკი, — რათა ჩეხიისა და გერმანიის ფაშიზმმა, რომელსაც კაპიტალისტები მხარს უჭერენ, ვერ შესძლოს ნიადაგის მოპოვება მუშათა შორის.

ცხადდება შესვენება 15 წუთით.

შესვენების შემდეგ პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. **ვარგას,** რომელიც თავის გამოსვლაში ამხელს ფაშისტების დემაგოგიას მეურნეობის დარგში.

ამხ. **ფერდი** (თურქეთის კომპარტია) ეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სახალხო ფრონტის შექმნის პრობლემებს და ჩერდება თურქეთ - საბჭოთა კავშირის მეგობრობის როლსა და მნიშვნელობაზე. იგი მიესალმება ამ მეგობრობას, როგორც მშვიდობიანობის გარანტიას.

ამხ. **სირანო** (მექსიკის კომპარტია) ლაპარაკობს მექსიკის კომპარტიის შეცდომებზე. იგი აღნიშნავს, რომ მექსიკის კომპარტიამ ვერ შესძლო სწორად შეეფასებინა ქვეყნის მდგომარეობა და ნაციონალ - რეფორმიზმის როლი; **ჩაიდინა** ტაქტიკური ხასიათის მთელი რიგი შეცდომები.

ამხ. **გაჯარი** (პალესტინის კომპარტია) ლაპარაკობს იმ პრობლემებზე, რომლებიც დასახულია პალესტინის კომუნისტების წინაშე უცხოეთის იმპერიალიზმისა და ქვეყნის შიგნით მისი აგენტურის წინააღმდეგ არაბეთის ერთიანი ნაციონალური ფრონტის შექმნის საქმეში.

ამხ. გაჯარის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას 6 საათამდე.

10 აგვისტოს საღამოს სხდომის დღიური

საღამოს სხდომა იხსნება ზუსტად 6 საათზე ამხ. **ტორეზის** თავმჯდომარეობით.

ელზას-ლორენის კომუნისტური ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. **ფრიდრიხი** თავის სიტყვაში აღნიშნავს რთულ ვითარებას ამ მოსაზღვრე ოლქში, რომელსაც ფაშისტური ექსპანსია უშუალოდ ემუქრება; მას შემდეგ, რაც ჰიტლერი ხელისუფლებას დაეპატრონა, და განსაკუთრებით იმ მომენტიდან, როცა საარი გერმანიას შეუერთდა, — ამბობს ამხ. ფრიდრიხი, — გერმანიის ფაშისტთა აგენტების ოინები უაღრესად გაძლიერდა. ამასთან ერთად ელზას—ლორენში გაცხოველებულ მუშაობას ავითარებენ ფრანგი ფაშისტები, რომელთაც სურთ გადააქციონ ელზას - ლორენი „საფრანგეთის ბავარიად", ე. ი. პარიზზე ფაშისტური ლაშქრობის გამოსავალ პუნქტად. ამხ. ფრიდრიხი მთელი რიგი მაგალითებით ნათელჰყოფს ანტიფაშისტური მოძრაობის წარმატებას ელზას - ლორენში და პირობას აძლევს კონგრესს, რომ ელზას-ლორენის კომუნისტები არ დაუშვებენ ამ პროვინციის გადაქცევას საფრანგეთის ან გერმანიის ფაშისტების პლაცდარმად.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის იაპონიის კომპარტიის დელეგატი ტანაკა. მას ეგებებიან მქუხარე ტაშით, რომელიც ოვაციაში გადადის. იგი ეხება პროფკავშირებში მუშაობის ამოცანებს და ხაზს უსვამს, რომ იაპონიის კომუნისტებმა ლეგალური მუშაობის მეთოდები უნდა შეუთავსონ არალეგალური მუშაობის მეთოდებთან და აღმოფხვრან სექტანტობა. ამხ. ტანაკა განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს მჭიდრო თანამშრომლობას ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან.

შემდეგ ცოცხალი და შინაარსიანი სიტყვით პროლეტარული ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის მხარეზე მშრომელი ინტელიგენციის გადაყვანის მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა ამხ. **გოპნერი** (საკ. კ. პ. (ბ). მას არაერთხელ აწყვეტინებენ ლაპარაკს ტაშისცემით და უდიდესი ყურადღებით უსმენენ.

ცხადდება შესვენება 10 წუთით.

ამხანაგი **ბორხესი** (ჩილის კომუნისტური პარტია) აწერს სახალხო ფრონტის შექმნის პროცესს ისეთ პირობებში, როცა ნაციონალური ბრძოლა უკავშირდება ბრძოლას უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სახალხო ფრონტი იქმნება აგრარული და ნაციონალურ - დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგებით.

ამხანაგი **მიხალი** (ახალგაზრდობის კომინტერნი) ახასიათებს ახალგაზრდობის მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობისა და უპერსპექტივობის პირობებში. ამხ. მიხალი აღნიშნავს მუშაობის აუცილებლობას სხვადასხვა მასობრივი ორგანიზაციის შიგნით. დასასრულ იგი გამოსთქვამს რწმენას, რომ კომინტერნის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და ცალკეული პარტიების დახმარებით ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები გადასჭრიან მათს წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს.

ამხანაგი **როდენი** (ალჟირის კომუნისტური პარტია) ეხება ერთიანი ფრონტის შექმნის ფორმებს ამ ქვეყანაში, აგვიწერს ფაშისტების აქტიურ მუშაობას ალჟირში და მათი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის სიმპატიის მოპოვების ცდებს.

საღამოს სხდომაზე უკანასკნელად გამოდის ამხანაგი **ვიდმანი** (ავსტრიის კომუნისტური პარტია). იგი ლაპარაკობს ავსტრიის კომპარტიის წარმატებაზე ერთიანი ფრონტის შექმნაში, ერთიანმა პროლეტარულმა ფრონტმა ავსტრიაში თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა წელს, თებერვლის ბრძოლების წლის თავზე: მიუხედავად ფაშისტური ხელისუფლების ყველა ღონისძიებისა და მზადებისა, ავსტრიის მუშებმა ცხადჰყვეს თავისი ბრძოლის ნებისყოფა.

ამით იხურება საღამოს სხდომა. კამათი ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო გაგრძელდება 11 აგვისტოს.

საბჭოთა კავშირში

რომენ როლანი საბჭოთა საბავშვო ნახატის შესახებ

მოსკოვი, 10 აგვისტო. ბუბნოვის სახელობის ბავშვთა მხატვრულად აღზრდის ცენტრალურმა სახლმა რომენ როლანისაგან მიიღო წერილი, სადაც იგი თავის აზრს გამოსთქვამს საბჭოთა ბავშვების მისთვის გაგზავნილი ნახატების შესახებ.

„მე მივიღე ბავშვების ნახატების ალბომი, — სწერს რომენ როლანი. ზოგმა მათგანმა გამაცვიფრა შტრიხისა და ფერის გამოყენების უნარით. აღტაცებული ვიყავი იმ გრძნობათა რეალიზმით, რომლითაც შთაგონებული არიან ეს ნახატები, და მანერით, რაც ამჟღავნებს ბავშვების ინტერესს შრომითა და ბრძოლით აღსავსე ცხოვრებისადმი, რასაც ისინი გარშემო ჰხედავენ". (ადს).

სადღეღამისო საავიაციო ესტაფეტის დამთავრება

მოსკოვი, 10 აგვისტო. 10 აგვისტოს, 9 საათსა და 03 წუთზე ტუშინოს აეროდრომზე დაეშვა თვითმფრინავი „უ—2", რომელსაც მართავდა მფრინავი უსტინოვი. მან რიაზანიდან ჩამოიტანა მსუბუქ მოტორიანი თვითმფრინავების ესტაფეტა და ამგვარად დაამთავრა მისი გადატანა ტფილისიდან მოსკოვამდე.

შემხვედრი ესტაფეტა მოსკოვი—ტფილისი ჩაბარდა ტფილისში 9 აგვისტოს, 20 საათსა და 15 წუთზე (ადს).

მაღლა ფრენის საკავშირო რეკორდი

მოსკოვი, 11 აგვისტო. 11 აგვისტოს მფრინავმა **ვ. ევსეევმა** თვითმფრინავით სიმაღლეზე მორიგი სავარჯიშო ფრენის დროს მიაღწია 11.080 მეტრის სიმაღლეს. ამრიგად, ევსეევმა გადალახა თვითმფრინავით სიმაღლეზე ფრენის საკავშირო რეკორდი, რომელიც 1932 წელს დაამყარა მფრინავმა პოპოვმა; ეს უკანასკნელი მაშინ 9.960 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. (ადს).

ქ-ნ მოდ კარპელესის წერილი უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებას

მოსკოვი, 10 აგვისტო. 10 აგვისტოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ ლონდონიდან მიიღო ცეკვის ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის გენერალური მდივნის ქ-ნ მოდ კარპელესის წერილი, რომელშიც იგი ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მადლობას უცხადებს „საბჭოთა მოცეკვავეთა და მუსიკოსთა ჯგუფებს, ასე შესანიშნავად რომ გამოდიოდნენ ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე". ფესტივალის საბჭოთა მონაწილეების ცეკვამ, სწერს ქ-ნი კარპელესი,—საერთო აღტაცება გამოიწვია და, **უეჭველად, უდიდესი როლი შეასრულა ფესტივალის საერთო წარმატებაში.** ყველა, ვისაც კი შემთხვევა ჰქონდა პირადად გაცნობოდა საბჭოთა მოცეკვავეებს, მოხიბლული იყო არა მარტო მათი საუცხოო საცეკვაო ხელოვნებით, არამედ მათი პირადი ღირსებებითაც. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ მრავალი მეგობარი შეიძინეს ინგლისში" (ადს).

საშემოდგომო მარცვლეულის თესვა

მოსკოვი, 10 აგვისტო. კავშირის ჩრდილოეთის ყველა რაიონში და ნაწილობრივ ცენტრალურ ზოლში გაჩაღდა საშემოდგომო თესვა. ამ ზონისათვის თესვის საბოლოო ვადაა 25 აგვისტო. მინდვრის სამუშაოთათვის პირობები მეტად ხელსაყრელია.

ლენინგრადის ოლქმა უკვე ხუთი დღეა დაიწყო საშემოდგომო თესვა. ბუდიონის სახელობის ლოდეინოპოლსკის კოლმეურნეობაში **ამოვიდა** ნაოში საშემოდგომო ნათესების **პირველი ჯეჯილი.**

სვერდლოვსკის ოლქს შემდეგ თესვა იწყო ჩელიაბინსკის ოლქმა.

საშემოდგომო თესვას შეუდგნენ: ბაშკირია, გორკის, კიროვისა და კუიბიშევის მხარეები.

ტექნიკის სასახლე ტფილისში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა სადირექტივო ორგანოების წინაშე რათა მომავალი 1936 წლის მშენებლობათა სატიტულო სიაში ცალკე ობიექტად იქნას გათვალისწინებული ამხ. სტალინის სახ. ტექნიკის დიდი სასახლის მშენებლობა.

სასახლე მოეწყობა მოსკოვის, ლენინგრადისა, და ხარკოვის ტექნიკის სასახლეების მსგავსად, ლაბორატორიებით, კაბინეტებით და ექსპერიმენტული სახელოსნოებით.

ჩრდილოეთ-ოსეთის 15 წლისთავისათვის

ქ. ორჯონიკიძე,

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს,

საოლქო აღმასკომს

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო და ა-კ. სამხარეო კომიტეტი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან ჩრდილოეთ-ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელთ, მისი ტერიტორიის თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან განთავისუფლების 15 წლისთავის საზეიმო დღეს.

თხუთმეტი წლის წინათ ხელახლა დაიწყო ჩრდილოეთ-ოსეთის ხალხთა ისტორია. ლენინ-სტალინის ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, რამაც სწრაფად აღმოფხვრა მეფის რუსეთის საუკუნოებრივი ჩაგვრის კვალი — ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. წარმოიშვნენ მრეწველობის კერები, საკოლმეურნეო სოფელი მტკიცედ მიდის შეძლებული ცხოვრებისაკენ. უმაგალითო აყვავებას მიაღწია ნაციონალურმა კულტურამ, ოსეთის მშრომელთა წრიდან იქმნებიან მტკიცე კადრები.

ლენინის პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

ა.-კ. სახკომსაბჭო.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი.

სერიოზული გაკვეთილი პროფკავშირებისათვის

მრავალ პროფკავშირულ ბიუროკრატს ეჩვენოდა ძლიერი სურვილი, რომ პროფესიულ კავშირთა საქარხნო კომიტეტების არჩევნები წელს ჩაეტარებინათ ჩუმად, უხმაუროდ, უთვითკრიტიკოდ, მასების აქტიური მონაწილეობის მიუღებლად. სიები ქარხკომების კანცელარიებში ცხვებოდა, ათანხმებდნენ და შემდეგ, მხოლოდ უბრალო ფორმალობის დაცვისათვის, გამოჰქონდათ კავშირის წევრთა კრებაზე როგორც დირექტივა. ასე დაიწყო არჩევნები ზოგიერთ საწარმოში.

პარტიამ პროფკავშირთა ხელმძღვანელებს თავის დროზე მიუთითა პროფკავშირული დემოკრატიის დამახინჯების შეუწყნარებლობა. პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა მიიღეს განსაკუთრებული, უაღრესად ავტორიტეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ახლა პროფკავშირული მუშაობის ყველა საკითხს, კერძოდ და განსაკუთრებით როგორ უნდა მოვახდინოთ ახალ პირობებში საქარხნო კომიტეტების არჩევნები, როგორ უნდა განვახორციელოთ და უსასტიკესად დავიცვათ უაღრესად ფართო დემოკრატია და პროფკავშირული მუშაობის ნაკლთა, ჩავარდნათა და შეცდომათა უაღრესად გაშლილი კრიტიკა, როგორ უნდა დავამუშაოთ მუშათა მასებთან ერთად ღრმად მოფიქრებული დადებითი პროგრამა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მთელს შემდეგ საქმიანობას,—აი რას მოითხოვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირთა თვითეული ხელმძღვანელი მუშაკისაგან. ქარხკომების არჩევნებმა ახალი სიო უნდა შეიტანოს პროფკავშირული მუშაობის საკმაოდ დახშულ ატმოსფეროში.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის ეს მითითებანი ყველგან პატიოსნად ხორციელდებოდა და სრულდებოდა.

ბიუროკრატები, ჩინოვნიკები და ზოგიერთი გადაგვარებული პროფკავშირულ აპარატში განაგრძობენ უმსგავსოებათა ჩადენას. ამას განსაკუთრებით ნათლად მოწმობს ქარხკომის „არჩევნებისა" და მთელი „მუშაობის" უაღრესად დანაშაულებრივი პრაქტიკა ჩვენი ქვეყნის ერთერთ ყველაზე მოწინავე საწარმოში. ლაპარაკია ამხ. კიროვის სახელობის მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაზე.

ჩვენ თავის დროზე ვწერდით, („პრავდა", 4 ივნისი) რომ მდგომარეობა აშკარად კარგი ვერ იყო, რომ პროფკავშირული დემოკრატიის საფუძვლები უაღრესად უხეშად მახინჯდებოდა, რომ ქარხნის პროფკავშირული მოხელენი ბიუროკრატიულ ფაცაფუცში იყვნენ გართულნი, აგრეთვე აღვნიშნავდით ქარხკომის მუშაკების მხრივ კავშირის წევრთა ინტერესების პირდაპირ აბუჩად აგდების ფაქტებს. როგორც ქარხნის დირექტორმა ამხ. გვახარიამ განგვიცხადა, ყველა ფაქტი, რომლებიც მაშინ „პრავდაში" იყო აღნიშნული, სავსებით დადასტურდა. ამასთან დაკავშირებით ქარხნის დირექციამ მთელი რიგი ზომები მიიღო. მაგრამ, ქარხკომმა ეს არ შეისმინა. საქარხნო და მაკეევკის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციებმა გვერდი აუარეს მასობრივი მუშაობის უაღრესად უხეშ დამახინჯებებს.

მაკეევკის ქარხანაში რამდენიმე თვის წინათ ქარხკომის „არჩევნები" ასე მოხდა. საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარემ, ამავე დროს ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილემ ვეშნიკოვმა დავალება მისცა, რათა ქარხკომის თავმჯდომარე ზოლოტუხინი ხელახლა არჩეულიყო წვრილხარისხოვან საამქროში. საამქროს სხდომაზე ზოლოტუხინის კანდიდატურა მუშებმა გააშავეს. მუშათა მასამ ქარხკომის თავმჯდომარეს უნდობლობა გამოუცხადა და თავისი კანდიდატები აირჩია. მაშინ ვეშნიკოვმა და ქარხკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბონდარენკომ თვითნებურად სიიდან ამოშალეს წვრილხარისხოვან საამქროში ერთსულოვნად არჩეული ამხ. მოროზოვი და ქარხკომის პლენუმის წევრთა რიცხვში მოტყუებით შეიტანეს გაშავებული ზოლოტუხინი.

ზოლოტუხინი, რომელიც არავის აურჩევია, გამოცხადდა ახალი ქარხკომის პირველ პლენუმზე და, ვეშნიკოვის წინადადებით, ყველა დამსწრეთა აშკარა მოტყუების გზით არჩეულ იქნა ქარხკომის თავმჯდომარედ. არც მუშათა პროტესტები, არც მისი კანდიდატურის პირდაპირი ჩაშავება კრებაზე არ ანაღვლებთ საარჩევნო კომიტეტის თავგასულ მოხელეებს. ყველა ამ ბიუროკრატიულ მოქმედებას დასტური მისცა სამხრეთის მეტალურგთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელმა ქარხანაში ამხ. ბროვჩენკომ.

საჭიროა ახალი სატარიფო მუშაკი. რეალურად კანდიდატურა არ არის. ამიტომ ზოლოტუხინის მიერ შედგენილ სიაში დატოვებული იყო ცარიელი ადგილი სატარიფო მუშაკისათვის და მუშებს წინადადებას აძლევდნენ არჩევნების დროს ხმა მიეცათ... ცარიელ ადგილისათვის.

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა საქარხნო ბიუროს თავმჯდომარე შეცვალა და არ იქნა არჩეული ქარხკომში. და არამკითხე ზოლოტუხინს თავისი ნებით „კოოპტაციით" შეჰყავს იგი ქარხკომის შემადგენლობაში. სიაში მისი გვარის უბრალო დამატებით. ამ დანაშაულებრივი აბუჩადაგდების სურათი რომ სრული იყოს, აღვნიშნავთ აგრეთვე იმას, რომ ბლუმინგის საამქროში, მაგალითად, 20 პროფჯგუფორგში მხოლოდ ორია არჩეული, დანარჩენები დანიშნული არიან. პროფკავშირული მეურნეობა საამქროებში მთლად უპატრონოდაა. ასეული პროფკავშირული საბუთი და საწევრო წიგნაკი დაკარგულია. იმავე წვრილხარისხოვან საამქროში კავშირის 50 წევრზე მეტს ჯიბეში საწევრო წიგნაკები უდევთ და აღრიცხვაზე არსად არიან აყვანილი.

ასეთია ერთი მუჭა პროფკავშირულ გადაგვარებულთა დანაშაულებრივი პრაქტიკის ზოგიერთი ფაქტი სამხრეთის უდიდეს მეტალურგიულ საწარმოში. ეს პრაქტიკა მრავალი თვის განმავლობაში იფურჩქნებოდა საქარხნო პარტიული ორგანიზაციის აშკარა დახმარებით.

მაკეევკის ქარხანა პროფკავშირთა დონეცის საოლქო საბჭოს ცხვირწინ არის. არც სამხრეთის მეტალურგთა კავშირის ცენტრალური კომიტეტია შორს. იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ პროფკავშირთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ შენიშნეს ეს აღმაშფოთებელი უმსგავსობანი? ისიც ისეთ ქარხანაში, სადაც მუშების 25 ათასიანი მოწინავე და საუცხოო კოლექტივია, რომელთა მუშაობას მთელი ჩვენი ქვეყანა შეჰყურებს!

მაკეევკის ქარხანა—რენტაბელური საბჭოთა შავი მეტალურგიისათვის ბრძოლის მედროშეა. მისი სამეურნეო მუშაობის შედეგებს თითქმის ყოველდღე ტყობილობენ მოსკოვში. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში ყოველდღე იციან ქარხნის თვითეული აგრეგატის მუშაობის შედეგი. მაშ რატომ არ იცის საკავშირო პროფსაბჭომ და არ აინტერესებს მას, თუ რა ხდება ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნის პროფკავშირულ ორგანოებში?

მაკეევკის ქარხანა გახდა ქვეყნის თავისებური ლაბორატორია, სადაც ნამდვილად ხორციელდება სრული სამეურნეო ანგარიში, სადაც ბოლომდე ეწევიან გათანაბრების აღმოფხვრას სამუშაო ხელფასში, სადაც მთელი თავისი უფლება ენიჭება საბჭოთა მანეთს. რატომ არ შეუძლიათ საკავშირო პროფსაბჭოს, დონეცის საოლქო პროფკავშირთა საბჭოს, სამხრეთის მეტალურგთა პროფკავშირის ცენ. კომიტეტს მასობრივი პროფკავშირული მუშაობის ასეთივე ლაბორატორიად გახადონ მაკეევკის ქარხანა? განა ქარხნის ახალმა პრაქტიკამ სწორედ აქ არ დააყენა ყველაზე მკვეთრად და ნათლად მუშათა მომსახურების ყველა ძირეული საკითხი?

პროფკავშირული მუშაობის სასკანდალო მარცხი ისეთ ქარხანაში, როგორიც მაკეევკის ქარხანაა,—სერიოზული გაფრთხილებაა პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოთათვის. იმის არცოდნა, თუ რა ხდება ისეთ საწარმოშიაც კი, როგორიც მაკეევკაა,—განა ეს მასებისგან პროფკავშირთა მოწყვეტის სერიოზული დამამტკიცებელი საბუთი არ არის, განა ეს საკავშირო პროფსაბჭოსა და მეტალურგთა კავშირის ცენ. კომიტეტის აპარატის ბიუროკრატიზმის მაჩვენებელი არ არის?

მაკეევკის საქმიდან ყველა საჭირო პოლიტიკური დასკვნა უნდა გაკეთდეს. საკავშირო პროფსაბჭომ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რათა ასეთი სამარცხვინო ფაქტები პროფკავშირულ მუშაობაში კვლავ არ მეორდებოდეს.

ამხანაგი სტალინის ლოზუნგი ადამიანებზე უაღრესად გულისხმიერი და სათუთი მზრუნველობის შესახებ უნდა განვახორციელოთ პრაქტიკაში, მთელს ყოველდღიურ პროფკავშირულ მუშაობაში.

(„პრავდის" მოწინავე, 11 აგვისტო).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

კამათი ამხ. გიორგი დიმიტროვის მოხსენების გარშემო

ამხ. ვალტერის სიტყვა

(გერმანიის კომუნისტური პარტია)

გერმანიის ახლანდელ მდგომარეობას ის ახასიათებს, რომ გერმანიის პროლეტარიატისა და მშრომელთა უფრო-დაუფრო ფართო ფენები მიმართავენ წინააღმდეგობის გაწევის ახალ, თუმცა ჯერ კიდევ პრიმიტიულ, ფორმებსა და მეთოდებს.

მუშათა მასები ამჟამად ეწევიან თავდასაცავ ბრძოლებს ხელფასის დაკლების წინააღმდეგ, სანარდო შეფასების დაკლების წინააღმდეგ, შრომის გააფთრებული ინტენსიფიკაციისა და ზედმეტ სამუშაოთა გზით ექსპლოატაციის გაძლიერების წინააღმდეგ.

გერმანიის კომპარტიის მასობრივი მუშაობის გარდატეხის განხორციელებაზე, სექტანტობის გადაჭრით დაძლევაზე არის დამოკიდებული უფრო ფართო მასშტაბით ბრძოლის გაშლის ტემპი, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის ბრძოლის გაჩაღების ტემპი.

მშრომელთა უკმაყოფილების ზრდის პირობებში ფაშისტები ცდილობენ მოსპონ ლეგალური ორგანიზაციათა უკანასკნელი ნაშთები, როგორიცაა კათოლიკური ორგანიზაციები, „ფოლადის მუზარადი“ და სხვ. მაგრამ ეს, თავის მხრივ, აძლიერებს წინააღმდეგობას.

როგორია განვითარების უახლოესი პერსპექტივა გერმანიაში?

1) იზრდება მუშათა ბრძოლის აქტივიზაცია. მუშათა კლასისა და მშრომელთა უფრო-დაუფრო ფართო ფენები იწყებენ ლეგალური შესაძლებლობათა გამოყენებას წინააღმდეგობის გასაწევად.

2) მუშათა მოძრაობის აქტივიზაციის ფონზე ძლიერდება უთანხმოება თვით ნაციონალ-სოციალისტების ბანაკში, რაც აღიდებს ფაშისტური დიქტატურის სიძნელეებს მის მომხრეთა შორის არსებული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

3) ბურჟუაზია, ეკონომიურ სიძნელეთა ზეგავლენით, ამზადებს ახალ გაძლიერებულ შეტევას მშრომელი ხალხის ყველა ფენაზე.

ჩვენი ანტიფაშისტური მუშაობის გასაღები ფაშისტურ მასობრივ ორგანიზაციებშია. უკვე მრავალია იმის მაგალითი, რომ მუშები ფაშისტური მასობრივი ორგანიზაციის შიგნით მოხერხებულად ეწევიან მუშაობას და ამისთვის ხშირად იყენებენ ნაციონალ-სოციალისტთა ბელადების მოჩვენებით რადიკალურ დაპირებებს.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის იანვრის რეზოლუციის განხორციელებით დაიწყო გარდატეხის დასაწყისი შინაპარტიულ ცხოვრებაშიც. პარტიის ფუნქციონერები უკვე მონაწილეობას იღებენ ჩვენი მასებს შორის მუშაობის მეთოდებისა და ფორმების შემუშავებაში. ამხანაგები გაბედულად ადგებიან ქვემოდან მაქსიმალური ინიციატივის გაშლის გზას. პარტიული კომიტეტები უფრო ენერგიულად იზიდავენ ამხანაგებს წინადადებათა წამოსაყენებლად და მონაწილეობის მისაღებად პარტიის პოლიტიკურ პრობლემათა მთლიანად გადაჭრაში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაფიცვებისა და წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ არალეგალური მომზადების შედეგად და ამავე დროს მასობრივი ორგანიზაციების შიგნით მუშა-მოსამსახურეთა ლეგალური დაცვის გზით. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა სოციალ-დემოკრატს, მათ ორგანიზაციებს და პრაგის ხელმძღვანელობას დაამყარონ ფაშიზმთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი უახლოესი უშუალო ნაბიჯების გადადგმისათვის.

ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა საერთო დახმარებისა და ფაშისტური პროვოკატორების გამოაშკარავებისათვის.

„გერმანიის შრომის ფრონტის“ რიგებში საერთო მუშაობისათვის—ხელფასის მომატების, შრომის პირობათა გაუმჯობესების მოთხოვნათა განსახორციელებლად.

საერთო ანტიფაშისტური მუშაობისათვის ყველა მასობრივ ორგანიზაციაში, რომლებიც კი ფაშისტებს ექვემდებარებიან.

ჩვენ მოვუწოდებთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრაგის ხელმძღვანელობას დაიწყოს მოლაპარაკება მთელი გერმანიის მასშტაბით საერთო მოქმედების პაქტის დადებაზე.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა ერთიანობის დამყარებას. ჩვენ მივესალმებით იმ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ პროფკავშირთა ერთიანობისათვის ბრძოლაში.

მშრომელთა ფართო ფენებში ძლიერდება სიძულვილი რეაქციული თვითნებობის რეჟიმისა და ფაშისტური ბატონობის მხეცური ბარბაროსობისადმი, რომელიც არცხვენს ჩვენს ქვეყანას, რომელმაც შილერისა და გოეტეს, ლესინგისა და ჰეგელის, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ქვეყანა ბნელეთის ბუდედ გადააქცია.

სახალხო ფრონტის ამოცანაა მასების დარაზმვა და აქტივიზაცია, ანტირეაქციული, ანტიფაშისტური ძალების უფართოესი სახალხო მოძრაობის გაშლა ჰიტლერის დიქტატურის წინააღმდეგ, პურისა და ხალხის უფლებებისათვის, მშვიდობიანობისა და პროგრესისათვის საბრძოლველად.

ჩვენ ამჟამად ვიბრძვით, რომ საერთო დახმარება აღმოვუჩინოთ პოლიტპატიმრებს, გავათავისუფლოთ ჩვენი ბელადი ერნსტ ტელმანი, გავათავისუფლოთ მირენდორფი (სოციალდემოკრატი), გავათავისუფლოთ ყველა პოლიტპატიმარი.

ფაშისტებმა რომ ორგანიზაცია აკრძალეს, ამის პასუხად ჩვენ მივმართავთ კათოლიკეებს: „ხელი ჩასჭიდეთ ერთმანეთს“. „ჩვენ მზად ვართ უკან გადავდოთ ყველაფერი, რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს მსოფლმხედველობის საკითხებში, და თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ სინიდისის თავისუფლებისათვის, ვინაიდან ჩვენ ყველას გვყავს ერთი საერთო მტერი — ფაშიზმი!“. (გაცხოველებული ტაში).

ფაშიზმი ისწრაფვის დათრგუნოს ყოველივე მოწინავე. იგი მეცნიერების ადგილს აჭერინებს მითს „სისხლისა და მიწის“ შესახებ. მას სურს მოსპოს სიმართლე ხელოვნებაში, სიმართლე მეცნიერულ კვლევაში, სინიდისის ყოველგვარი თავისუფლება. ჩვენ გვსურს საერთო ბრძოლისათვის გავერთიანდეთ სახალხო ფრონტზე ყველა პატიოსან მეცნიერთან, ხელოვანთან, ინტელიგენტთან. ჩვენ ვართ კანტის, ფიხტეს, ჰეგელის მემკვიდრეები ფაშისტთა შუასაუკუნოებრივი ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, განათლებისა, პროგრესისა, კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში (ტაში).

ჩვენი პოლიტიკის მიზანია საბჭოთა გერმანიის შექმნა. პოლიტიკური კრიზისის პირობებში, როცა ძალთა განწყობილება ჯერ კიდევ საშუალებას არ გვაძლევს საბჭოთა ხელისუფლება დავამყაროთ, ჩვენ სათანადო პირობებში შევეცდებით შევქმნათ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მთავრობა. (ტაში).

ამხ. ბელა კუნის სიტყვა

(უნგრეთის კომპარტია)

უნგრეთის პროლეტარიატის მასობრივი მოძრაობა, ბოლო დროს მისი მოპოებული წარმატებანი, უნგრეთის კომპარტიის მძიმე შინაპარტიული კრიზისის დაძლევა შესაძლებელი გახდა იმ ტაქტიკაზე გადასვლის მეოხებით, რომელიც მოცემულია თეზისების პროექტში და ამხ. დიმიტროვის მოხსენებაში.

სამშენებლო მრეწველობის და, მომიჯნავე დარგთა მუშების საყოველთაო გაფიცვა ბუდაპეშტსა და უნგრეთის რამდენიმე პროვინციულ ქალაქში დღემდე გრძელდება. მარტო ბუდაპეშტში გაფიცულია 20 ათასზე მეტი მუშა. ეს გაფიცვა ხორციელდება კომუნისტ და სოციალ-დემოკრატ მუშათა ერთიანი ფრონტით. გაფიცულთა მთავარი მოთხოვნა მიმართულია მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს პროფკავშირთა თავისუფლების მოსპობას და მათს გასახელმწიფოებრივებას.

ამ მასობრივ გაფიცვას უკანასკნელ დღეებში წინ უძღოდა რამდენიმე მძლავრი მასობრივი გაფიცვა.

ერთერთი უმნიშვნელოვანეს წანამძღვარს ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს კომუნისტური პარტიების ბრძოლა მუშათა კლასის ყოველდღიური საჭიროებებისა და ნაწილობრივი მოთხოვნებისათვის.

ყველა ქვეყანაში, სადაც კი მასობრივი რეფორმისტული პროფორგანიზაციები არსებობენ, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უნგრეთი და პოლონეთი, სადაც არალეგალურ კომუნისტურ პარტიებთან ერთად არსებობენ ლეგალური რეფორმისტული პროფკავშირები, უკანასკნელთ შეუძლიათ სრულიად განსაკუთრებული როლი ითამაშონ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეფორმისტული იდეოლოგია, პროლეტარიატის მტრული იდეოლოგიაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მუშები, რომელნიც ამ იდეოლოგიის გავლენით რეფორმისტულ პროფკავშირებში იმყოფებიან, სუბიექტურად თავს არ გრძნობდნენ კლასობრივ მებრძოლებად.

ეს პროფკავშირები და მათი წევრთა მასა ჩვენ უნდა მივიჩნიოთ უმნიშვნელოვანეს მასობრივ ცენტრად, უმნიშვნელოვანეს რგოლად, ხიდად შეუკავშირებელ მუშათა მასებთან დასაახლოვებლად.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ აგრეთვე იმ ყალბი თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიულ დემოკრატიისა და ფაშიზმს შორის იგივეობის ხაზს ავლებს.

ჩვენ ვებრძვით ბურჟუაზიულ დემოკრატიას, როგორც ბურჟუაზიის ბატონობის ერთერთ ფორმას. ჩვენ ვებრძვით ბურჟუაზიული დემოკრატიის მავნე ილუზიებს საყოველთაო თავისუფლებისა, თანასწორობისა და უკლასო ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესახებ. ჩვენ არ ვურიგდებით ამ სიცრუეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცავთ მშრომელებისათვის მოქმედების თავისუფლების იმ ნაშთებს, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოკრატია გვანიჭებს.

უნგრეთის კომპარტიამ განაცხადა, რომ იგი მზად არის დაიცვას უნგრეთის სოციალ-დემოკრატიის ლეგალობა, რომელსაც ფაშიზმი ემუქრება, და ეს მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადები სათავეში ედგნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კონტრრევოლუციას და ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ უნგრეთში.

ჩვენის აზრით, იმ დროს, როცა არის უშუალო საფრთხე, რომ ფაშისტები სახელმწიფო ძალაუფლებას ხელთ ჩაიგდებენ, — პროლეტარული ერთიანი ფრონტის ანუ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნა, როგორც ამას რეზოლუციის პროექტი მოითხოვს, არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც ხდება. (ტაში).

ამხ. გოტვალდის სიტყვა

(ჩეხო-სლოვაკია)

კომინტერნის VII კონგრესის მუშაობა, გასაგებია, უდიდეს ინტერესს იწვევს ჩეხოსლოვაკიაშიც. კაპიტალის შეტევა ქალაქის და სოფლის მშრომელთა საარსებო დონეზე ჩვენს ქვეყანაშიც დღითიდღე ძლიერდება.

ფაშისტური საფრთხე ჩეხოსლოვაკიაში იზრდება.

გერმანიის იმპერიალიზმის აგრესია მრავალ ქვეყანას ემუქრება. იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც ამ აგრესიის უახლოეს ობიექტს წარმოადგენენ, ეკუთვნის ჩეხოსლოვაკიაც. ჩეხის ხალხს ემუქრება ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვა. ჩეხოსლოვაკიის გერმანელ, სლოვაკელ, უნგრელ, უკრაინელ და პოლონელ მოსახლეობას ემუქრება საფრთხე, რომ გერმანიის, უნგრეთის და პოლონეთის ფაშიზმის უღელქვეშ მოექცევიან.

არ შეიძლება ერთი წუთითაც დავკარგოთ ძვირფასი დრო.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტია იბრძოდა და იბრძოლებს პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობის განხორციელებისათვის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ერთიანი საერთო სახალხო ფრონტისათვის.

ჩვენ ვისწრაფვით განვახორციელოთ საბრძოლო ერთიანობა სოციალისტურ პარტიებთან იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკია ჰიტლერის სათარეშოდ არ გადაიქცეს. ჩვენ ვუჭერთ მხარს ჩეხოსლოვაკიის და სსრკ-ის უმჭიდროეს კავშირს, მტკიცედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას. ჩვენ ვცდილობთ საერთო ძალღონით მოვსპოთ ყველა ტენდენცია—გადააქციონ პრაგა ფაშისტური ბერლინის ფილიალად.

ჩვენ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მონაწილეობისა მთავრობაში, მზად ვართ დავდოთ მათთან შეთანხმება ერთიან ფრონტზე.

ჩვენ, კომუნისტები, ვემხრობით საბჭოთა პროლეტარულ დემოკრატიას, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება მშრომელი მასების ინტერესებს. ჩვენ ვიბრძვით ამ დემოკრატიისათვის. მაგრამ თუ ფაშიზმი უტევს ბურჟუაზიულ დემოკრატიას და ილაშქრებს დემოკრატიულ უფლებათა წინააღმდეგ, რომლებიც მშრომელმა მასებმა მძიმე ბრძოლებით მოიპოვეს, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცავთ ამ უფლებებს და მოვუწოდებთ ყველა ნამდვილ სოციალისტს, დემოკრატს და რესპუბლიკელს ერთიანი ფრონტისაკენ, რათა დავიცვათ ეს რესპუბლიკა უდიდესი ხიფათისაგან, დავიცვათ მშრომელი ხალხი უდიდესი კატასტროფისაგან, სისხლიანი ფაშისტური დიქტატურისაგან. ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ, რომ ჩეხოსლოვაკია ჩეხი ან გერმანელი ჰიტლერელების ნადავლად გადაიქცეს. ჩვენ ვიცავთ რესპუბლიკას გარეშე და შინაური ფაშისტებისაგან, მაგრამ რესპუბლიკამ ჩვენ უნდა მოგვცეს საშუალება ასეთი ბრძოლისათვის. მან ჩვენ უნდა მოგვანიჭოს მშრომელთა ორგანიზაციის სრული თავისუფლება, შესწყვიტოს მუშების დევნა, კომუნისტებისა და რევოლუციური პროლეტარების საპყრობილეებში დამწყვდევა. ხოლო თუ იგი კვლავაც ისე იმოქმედებს, როგორც დღემდის მოქმედებდა, თვითონვე შეუძლებელს გახდის თავის დაცვას.

ჩეხის მშრომელ მასებს აფიქრებთ თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობის ბედიღბალი. ჩვენ, ჩეხი კომუნისტები, ვიზიარებთ მათ სულისკვეთებას.

ჩეხის ბურჟუაზიის სწორედ ფაშისტური ფრთა, რომელიც გაჟღენთილია ყოველივე სოციალისტურის სიძულვილით, ცდილობს ძირი გამოუთხაროს ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი—ეს ყველასთვის ნათელია — მშვიდობიანობის სადარაჯოზე სდგას და ჩეხოსლოვაკიისათვის წარმოადგენს დასაყრდენს ჰიტლერის იმპერიალიზმის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩეხის ბურჟუაზიის ფაშისტური წრეები დაჟინებით ცდილობენ შესცვალონ საგარეო პოლიტიკის ახლანდელი კურსი, მისცენ მას ბერლინის ორიენტაცია, თუმცა ცხადია, რომ, ეს იქნებოდა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის დასასრულის დასაწყისი.

აგრარულ პარტიაში, სახალხო პარტიაში, ხელოსანთა პარტიაში მოიპოვებიან ნამდვილად დემოკრატიული ანტიფაშისტური ელემენტები. ჩვენ, კომუნისტები, მათ მივმართავთ, ჩვენ მათ წინადადებას ვაძლევთ შევქმნათ ფართო სახალხო ფრონტი კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ფაშიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, შევქმნათ შრომის, თავისუფლების, მშვიდობიანობის სახალხო ფრონტი.

ჩვენ, კომუნისტები, ვისწრაფვით შევქმნათ პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა და სახალხო ფრონტი არა მარტო იმისათვის, რომ უკუვაგდოთ კლასობრივი მტრის შემოტევა, არამედ იმისათვისაც, რომ დავრაზმოთ ხალხის ყველა ძალა მძლავრი კონტრიერიშისათვის. და თუ ამ კონტრიერიშის პროცესში ბურჟუაზიის პოზიციები იმდენად შეირყევა, ხოლო პროლეტარიატის პოზიციები იმდენად განმტკიცდება, რომ ბურჟუაზია ვერ შეძლებს გაუმკლავდეს ამხედრებულ მასებს მაშინ შეიძლება დაისვას ერთიანი ფრონტის ან სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნის საკითხი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ასეთ მთავრობას, მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა მუშათა კლასის მძლავრ ერთიან ფრონტს და მშრომელი გლეხობის, წვრილი ხელოსნების, მშრომელი ინტელიგენციის გამაერთიანებელ ფართო სახალხო ფრონტს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთ მთავრობას, რომელიც გერმანელ, სლოვაკელ, პოლონელ, უნგრელ, უკრაინელ მშრომელ ხალხს მისცემს თანასწორობას და თავისუფლებას, რათა ხალხები ჩეხოსლოვაკიაში ნამდვილად გრძნობდნენ თავს როგორც თავის სამშობლოში. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთ მთავრობას, რომელიც დაუზოგავად შემუსრავს ყველას, ვინც ფაშისტურ გერმანიას ეტანება, ყველას, ვისაც სურს ჩეხოსლოვაკია ფაშისტურ ბერლინს დაუმორჩილოს და იგი მისი ყაჩაღური სამხედრო პოლიტიკის იარაღად გახადოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთ მთავრობას, რომელიც უმჭიდროეს კავშირს დაამყარებდა საბჭოთა კავშირთან და მასთან ერთად თანმიმდევრულად იბრძოლებდა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. ასეთ მთავრობას ჩვენ მხარს დავუჭერთ მთელი ძალღონით (ტაში).

ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებს, შეგნებული გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. გარემოცულნი ფაშისტური სახელმწიფოებით, ჩვენ მოვიმოქმედებთ ყოველივეს, რომ ფაშიზმის ტალღამ არ წალეკოს ჩეხოსლოვაკია. ჩვენ მოვიმოქმედებთ ყოველივეს, რომ ჩეხოსლოვაკია გახდეს ანტიფაშისტური და ომისწინააღმდეგო ბრძოლის მტკიცე დასაყრდენი შუა-ევროპაში (მქუხარე ტაში).

ამხ. ჩემოდანოვის სიტყვა

(ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი)

ამხანაგებო! თავის მოხსენებაში ამხ. დიმიტროვმა წამოაყენა ამოცანა ახალგაზრდობის ყველა არაფაშისტურ ორგანიზაციათა მთელი ძალების გაერთიანებისა უფართოესი ერთიანი ფრონტის საფუძველზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალისგან მოითხოვს მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას. უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე მთელი პარტიულ-მასობრივი მუშაობა ახალგაზრდობას შორის. საჭირო გადამწყვეტი ბრძოლა თვითკმაყოფილ სექტანტობის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია ჩვენს რიგებში.

იმ ყალბ აზრს, რომ კომკავშირი მხოლოდ პოლიტიკას უნდა მისდევდეს, მიჰყავდით მშრომელი ახალგაზრდობის ნაწილობრივი ეკონომიური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხების უგულებელყოფამდე, დღესაც კი კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდა კომუნისტური კავშირების უმრავლესობა ფაქტიურად მოწყვეტილია იმ ახალგაზრდა მუშებსა და მშრომელებს, რომელნიც პროფკავშირებში არიან შეკავშირებულნი.

სექტანტობის კლასიკური გამოხატულება იყო გერმანიის კომკავშირში ერთ დროს გავრცელებული ლოზუნგი: „დასცხე პატარა ცერგიბელს, სადაც შეხვდეო“. აქ უკვე ადგილი აღარ რჩებოდა ერთიან ფრონტს სოციალისტურ ახალგაზრდობასთან. ახალგაზრდა მშრომელები, ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კულტურულ, სასპორტო, რელიგიური და სხვა მასობრივი ორგანიზაციების წევრები, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის V კონგრესზე ჩარიცხულ იქნენ „მოწინააღმდეგეებად“. ეს ნიშნავდა ჩვენს გამოცალკევებას ახალგაზრდობის ფართო მასებისაგან და ამას ფაქტიურად მოსდევდა უარისთქმა ახალგაზრდათა ისეთ ორგანიზაციებში მუშაობაზე, სადაც ათასობით და მილიონობით იყო მშრომელი ახალგაზრდობა. როგორც ვიცით, ეს გარემოება ჩვენ მეტად ძვირად დაგვიჯდა იტალიასა და გერმანიაში.

ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის V კონგრესზე 1929 წელს კომინტერნის ხელმძღვანელობამ მოსთხოვა ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს პირი ებრუნებინა მასებისაკენ. 1929 წელს კომინტერნის ხელმძღვანელობამ ამხ. მანუილსკის ხაზით შეამოწმა, თუ როგორ სრულდება ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობის გარდაქმნა. კომინტერნმა მაშინ კვლავ მოითხოვა გადამჭრელი ბრძოლა სექტანტობის წინააღმდეგ. და შარშან კომინტერნის აღმასკომმა გადაჭრით გამოასწორა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზი.

1933 წელს, როდესაც გერმანიის მუშათა კლასს ფაშისტური საფრთხე მოევლინა, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასკომს მიმართა წინადადებით შევქმნათ ერთიანი ფრონტი და ურჩია ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციას ასეთივე წინადადებით მიემართათ ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის. იმავე 1933 წელს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე იყო მოწვეული.

ცალკეულ ქვეყნებში უკვე დაიწყო კომკავშირის მუშაობის გარდაქმნა.

ინიციატივა, ეკუთვნის საფრანგეთის კომკავშირს; მან კომპარტიის ხელმძღვანელობით მოახერხა ისეთი მუშაობის გაშლა, რომელმაც შესაძლო გახადა წარმატებათა მოპოვება ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა სექციებშიც. აბსოლუტურად სწორი და დროული იყო საფრანგეთის კომკავშირის ც. კ-ის მიმართვა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელობისადმი ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ეს წინადადება მიიღეს და ერთიანი ფრონტი შეიქმნა. ამან ბიძგი მისცა კომუნისტური და სოციალისტური ახალგაზრდობის საერთო ბრძოლას სხვა ქვეყნებშიც.

თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კომკავშირმა, რომელიც ალღოიანად მიუდგა ახალგაზრდობის მასებს.

მასობრივი მუშაობის ამ ძვრებმა ხელი შეუწყვეს კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ცალკეულ კომუნისტურ კავშირებსაც დაეყენებინათ ახალგაზრდობის ყველა არაფაშისტურ ორგანიზაციებთან ინტერნაციონალური თანამშრომლობის საკითხი.

ჩვენ ვითვალისწინებთ, თუ რა დიდია ამხ. დიმიტროვის მოხსენებაში წამოყენებული ამოცანები, რა ძნელია მათი განხორციელება, განსაკუთრებით იქ, სადაც კომუნისტური პარტიები და კომკავშირი არალეგალურად მუშაობენ. მაგრამ, მეორე მხრით, შეუძლებელი იქნება არალეგალობის ჩარჩოების გარღვევა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან იტალია, გერმანია, სამხრეთ-სლავია და პოლონეთი, თუ არ ვაწარმოებთ იქ აქტიურ მუშაობას ახალგაზრდათა მასობრივ ორგანიზაციებს შიგნით.

ჩვენ გულწრფელად მივისწრაფოდით ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ და კიდევ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ შევხვდეთ სოციალისტურ ახალგაზრდობას და მის ხელმძღვანელობას, რათა განვიხილოთ მათი წინადადებანი.

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ის წინადადებანი, რომლებიც უპასუხებს ანტიფაშისტური ბრძოლის ინტერესებს, მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებს. და ჩვენ ველით ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესის პროლეტარულ პასუხს.

ამხ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი გამუდმებული ყურადღება და ზრუნვა ახალგაზრდობაზე, ლენინური კომკავშირის მუშაობის კოლოსალური გამოცდილება, ჩინეთის კომკავშირის გმირული ბრძოლის ნიმუშები და ის გმირული ბრძოლა, რომელსაც კომკავშირელები ფაშისტურ ქვეყნებში აწარმოებენ, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთ. შტატ. კომკავშირის წარმატებანი—ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც მტკიცედ დგას კომინტერნის პოზიციებზე მისივე ხელმძღვანელობით, შესძლებს სექტანტობის ნაშთების დაძლევას, შესძლებს ახალგაზრდობის მილიონიანი მასების შემჭიდროებას ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად (ტაში).

ამხ. კოლაროვის სიტყვა

(ბულგარეთის კომპარტია)

კრიზისმა, რომელმაც გაამწვავა ყველა ქვეყნის გლეხობის ექსპლოატაციისა, ძარცვისა და ჩაგვრის ყველა ფორმა, ამოძრავა პროლეტარული რევოლუციის გლეხთა რეზერვის უზარმაზარი მრავალმილიონიანი მასები.

გლეხთა მოძრაობის უკანასკნელი წლების გამოცდილებამ კომპარტიების წინაშე მთელი სიმწვავით დასვა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—იბრძოლონ გლეხობისათვის, რომელიც გადატაკებული და დამშეულია, უკმაყოფილოა და პროტესტს აცხადებს, ამბოხებს და აჯანყებს გზას ადგას, იბრძოლონ მისი გადაქცევისათვის პროლეტარიატის აქტიურ მოკავშირედ.

თუმცა ფაშიზმი გლეხის შრომის უბოროტეს ექსპლოატატორთა და მძარცველთა იარაღს წარმოადგენს, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში იგი გადაიქცა დიდ პოლიტიკურ ძალად იმიტომ, რომ იგი გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ, რომელნიც გლეხებს გაჩანაგებას და შიმშილით სიკვდილს უქადიან, იყენებდა გლეხთა აღშფოთების და აჯანყების ტალღას. თუ კომუნისტები სოფლად ბოლშევიკურ მუშაობას უკეთ გაშლიან, სავსებით შესაძლებელია ჩავშალოთ ფაშისტთა მიერ გლეხთა შორის გავლენის მოპოების ცდები და ამით სერიოზულად გავაძნელოთ ფაშისტთა მიერ ძალაუფლების დაპყრობა.

კომპარტიები სათანადოდ ვერ აფასებენ იმ საფრთხეს, რომელსაც წარმოადგენს ფაშისტების მილიტარისტული და შოვინისტური აგიტაცია გლეხთა შორის, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობას შორის.

პროლეტარიატი მშრომელ მასებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიმხრობს, თუ იგი მებრძოლ გლეხობას ნამდვილ დახმარებას გაუწევს.

კომუნისტებმა თავის რიგებში საბოლოოდ უნდა დასძლიონ ყოველგვარი სექტანტური მერყეობა გლეხთა იმ ბრძოლის ორგანიზაციის საკითხებში, რომელსაც ისინი ეწევიან თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

გლეხთა მასობრივი კავშირებისადმი სექტანტური მიდგომის მავნებლობის ყველაზე ნათელი მაგალითი მოგვცა ბულგარეთის კომპარტიამ.

ბულგარეთის კომპარტიამ დაგვანახვა, თუ როგორ არ უნდა ვაშენებდეთ ერთიან ფრონტს და როგორ არ უნდა ვებრძოდეთ ფაშიზმს.

ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ, რომელშიც დროებით გაიმარჯვეს უაღრესად სექტანტურმა ელემენტებმა, ფაშიზმის მთავარ გამომხატველად და ფინანსიური კაპიტალის ფაშისტური დიქტატურის მთავარ დასაყრდენად მიაჩნდა **გლეხთა მასობრივი კავშირი.** ამ უკანასკნელის ბელადები მონაწილეობდნენ სახალხო ბლოკის მთავრობაში, რომელიც ჩამოაგდო სამხედრო-ფაშისტურმა პუტჩმა 1934 წ. 19 მაისს. ამ მხრივ იგი გლეხთა კავშირს უთანაბრებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც, ამგვარად, პარტიის და მასების ბრძოლის მთავარ ცეცხლს მიმართავდა ამ ორი ორგანიზაციის წინააღმდეგ, ამავე დროს მეორეხარისხოვან, დაქვემდებარებულ მნიშვნელობას აკუთვნებდა ბრძოლას ნამდვილად ფაშისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რითაც ნამდვილად ფუშავდა მასების ერთიან ფრონტს, რომელიც სტიქიურად იქმნებოდა ფაშიზმის გაძლიერებული მუქარის წინააღმდეგ.

ეს ხელმძღვანელობა გვერდს უხვევდა მომქმედ კლასობრივ ძალთა კონკრეტულ ანალიზს და ცდილობდა ქვეყნის განვითარება მოექცია ვიწრო აბსტრაქტულ სქემაში: ერთი მხრივ, ფაშიზმის საყოველთაო ბატონობა, მეორე მხრივ—რევოლუციური პროცესის განუწყვეტელი ზრდა და მომავალი რევოლუციური აფეთქება.

სექტანტური თვითკმაყოფილების შედეგად კომპარტიის ხელმძღვანელობა აფერხებდა მასების ბრძოლას, რომელიც სტიქიურად ვითარდებოდა... იგი ავრცელებდა გარდუვალი ეკონომიური კატასტროფის ვითომდა რევოლუციურ თეორიას, რასაც მივყავდით კაპიტალიზმის ავტომატური კრახის თეორიასთან.

პარტიული ხელმძღვანელობის რეორგანიზაციის შემდეგ, პარტიამ უკვე გადადგა **პირველი ნაბიჯები** ერთიანი ფრონტის ტაქტიკის მართებული გამოყენების დარგში. დაიდო შეთანხმება ერთიანი ფრონტის შესახებ გლეხთა კავშირთან მუშათა და გლეხთა საჭირბოროტო ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის, მათ შორის დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნებისათვის ბრძოლის პლატფორმის საფუძველზე. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც პრინციპულად მხარი დაუჭირა ერთიან ფრონტს. დაიდო შეთანხმება ერთიან ბრძოლაზე ქალაქისა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირებს შორის. პირველ მაისს და შემდეგ მოეწყო მთელი რიგი კრებები ერთიანი ფრონტის ნიშნით. ერთ წელზე ნაკლებ ხანს ბულგარეთში შეიცვალა სამი დიქტატორული მთავრობა, რომელთაც მთელი ძალაუფლება ჰქონდათ, და ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო შეექმნა მტკიცე ბაზა აშკარა ფაშისტური დიქტატურისათვის. კორპორატიულობის პრინციპებით სახელმწიფოს რეორგანიზაციის ცდა მარცხით დამთავრდა. ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის პლატფორმა, მუშათა, გლეხთა და ხელოსანთა ყველაზე საჭირბოროტო ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად, შეიცავს დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა მოთხოვნას. მისი მიზანია ფაშისტური დიქტატურის დამხობა. მისი ბრძოლის ორგანოებია სახალხო ფრონტის კომიტეტები. მისი ბრძოლის მეთოდებია მასობრივი ბრძოლის ყველა ფორმა, თვით საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, თვით რევოლუციური ბრძოლაც ძალაუფლებისათვის.

ბულგარეთის კომპარტია თანახმაა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის საერთო სიით, აგრეთვე მხარი დაუჭიროს სახალხო ფრონტის მთავრობას, რამდენადაც იგი მის პლატფორმას შეასრულებს.

სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის მომავალი, მისი წარმატება მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება კომპარტიის მჭიდრო კავშირის და ერთიანობის შენარჩუნება ქალაქისა და სოფლის მუშათა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან, პირველ ყოვლისა ბულგარეთის უდიდეს მასობრივ ორგანიზაციასთან—გლეხთა კავშირთან. ეს მოითხოვს ყველა სექტანტური დამახინჯების ნამდვილად სრულ და საბოლოო დაძლევას.

ბრძოლა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ სოფლად კომუნისტებისაგან მოითხოვს გადაჭრით უკუაგდონ ჩვენი ბანაკის გარეთმყოფ ყველა პარტიის და ორგანიზაციის სექტანტური გათანაბრება ფაშიზმთან და დაჟინებით ეცადონ შექმნან ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი გლეხთა ყველა მასობრივ პარტიასთან, კავშირებთან და ორგანიზაციებთან სოფლად. ამას საფუძვლად უნდა დაედოს ბრძოლა გლეხთა საჭირბოროტო ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის, რომელთაც თვითონ გლეხები აყენებენ.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

პარიზი, 10 აგვისტო. პრესის ცნობით, გუშინ ტულონსა და ბრესტში საწარმოები მუშაობას შეუდგნენ.

„იუმანიტემ“ გამოაქვეყნა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება სათაურით — „ჩვენ ბრალს ვდებთ“. მოწოდებაში გამოაშკარავებულია ბრესტისა და ტულონის ამბებში ფაშისტ-პროვოკატორების როლი, რომლებიც მოქმედებდნენ ფაშისტური გადატრიალების მომზადების მიზნით.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მშრომელთ ფაშიზმის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანობისაკენ.

მოწოდება მწვავედ ილაშქრებს მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ კომპარტია იბრძოლებს ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებს და უზრუნველჰყოფს მისთვის შრომასა და პურს. (ადს).

საფრანგეთის პრეფექტთა თათბირი

პარიზი, 10 აგვისტო. გუშინ ლავალმა მიიღო სახელმწიფოს ყველა კუთხიდან პარიზში შეკრებილი პრეფექტები. იგი მოუწოდებდა მათ არ შეჩერდნენ უაღრესად გადამწყვეტი ზომების წინაშეც კი საგანგებო დეკრეტების ცხოვრებაში გატარებისათვის. პრეფექტთა თათბირის დიდი მნიშვნელობა გამომდინარეობს ლავალის სიტყვის საბოლოო ნაწილიდან:

„იმისათვის, რომ მთავრობის ხელმძღვანელს მესამე რესპუბლიკის ისტორიაში პირველად მოეწვია საფრანგეთის ყველა პრეფექტი, განსაკუთრებული გარემოება იყო საჭირო. ლაპარაკია რეჟიმის ბედსა და სახელმწიფოს არსებობაზე, რაც კითხვის ქვეშ არის დასმული“. (ადს).

სოლიდარობის დემონსტრაცია

პარიზი, 10 აგვისტო. არსენალის მუშები შერბურგში ბრესტისა და ტულონის მუშებთან სოლიდარობის გაფიცვის ჩატარების შემდეგ, გუშინ მუშაობას შეუდგნენ. მუშაობის დამთავრების შემდეგ მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო მოსამსახურეებმა და რკინისგზელებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8 ათასმა კაცმა. მათთან სოლიდარობის ნიშნად წვრილმა მედუქნეებმა დახურეს თავისი მაღაზიები და დემონსტრანტებს შეუერთდნენ. ამის შემდეგ დემონსტრანტებმა მოაწყეს ორი საპროტესტო მიტინგი საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ.

გერინიში (ნიეირის დეპარტამენტი) არსენალის მუშებმა აგრეთვე შესწყვიტეს მუშაობა ერთი საათით, ნიშნად ბრესტისა და ტულონის მუშებთან სოლიდარობისა. (ადს).

როდოსი გადაქცეულია საჰოსპიტალო ბაზად

ლონდონი, 10 აგვისტო. რეიტერის სააგენტო ათინიდან იუწყება იტალიის ხელისუფალთა გაფაციცებულ საქმიანობას როდოსისა და ლეროსის კუნძულებზე. სააგენტოს სიტყვით, როდოსი გადაქცეულია დიდ საჰოსპიტალო ბაზად, სადაც გზავნიან ყველა დაავადებულ ჯარისკაცებს აღმოსავლეთ აფრიკიდან. ამით ხელისუფლების წარმომადგენლებს სურთ აიცდინონ ცუდი შთაბეჭდილება, რომელსაც მოახდენს დაავადმყოფებულ ჯარისკაცთა ასეთი დიდი რაოდენობით დაბრუნება იტალიაში.

ბერნის (შვეიცარია) სააგენტოსაგან მიღებული ცნობით, დადის ხმები, რომ იტალიის საზღვრებზე მდებარე ქალაქებში დიდი რაოდენობით ჩამოვიდნენ იტალიელი დეზერტირები. (ადს).

მუშების შეტაკება პოლიციასთან

ათინა, 10 აგვისტო. ფაბრიკანტებმა პირეიში უარყვეს შეესრულებინათ დაპირება ხელფასის გადიდების შესახებ და გუშინ დახურეს ქარხნები; მუშებს არ უშვებენ ახალ პირობებში სამუშაოდ. ამ ნიადაგზე მოხდა მთელი რიგი შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის. მრავალი მუშა დაჭრილია. დაპატიმრებულთ აწამებენ.

გუშინ პროფკავშირულ ორგანიზაციათა დელეგაციამ მთავრობას აცნობა საბერძნეთის მუშათა ორგანიზაციების კონფერენციის გადაწყვეტილება 13 აგვისტოსათვის გამოცხადოს ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვა და მოითხოვა კუნძულ კრიტზე მუშების გამოსვლის სისხლიან ჩახშობაში დამნაშავეთა დასჯა, დაზარალებულთათვის კომპენსაციის მიცემა და კავშირთა თავისუფლების უზრუნველყოფა.

ვენა, 10 აგვისტო. ათინიდან მიღებული ცნობით, საბერძნეთის მუშების 13 აგვისტოსათვის განზრახულ საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით, სამხედრო და საზღვაო სამინისტროებმა გამოსცეს ბრძანება სამხედრო ნაწილთა საბრძოლოდ მზადყოფნის შესახებ. (ადს).

ხელიდან გამოვგლიჯოთ კაიზერი ფაშისტ-ჯალათებს

ვენა, 10 აგვისტო. შვეიცარიის პრესა აქვეყნებს ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტის მოწოდებას პროტესტით გერმანიის რეიხსტაგის წევრ-კომუნისტის კაიზერისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ. კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს და ყველა ანტიფაშისტს, ხელიდან გამოგლიჯონ კაიზერი ფაშისტ-ჯალათებს. (ადს).

აბისინია იარაღს ყიდულობს

ლონდონი, 10 აგვისტო. ადის-აბებიდან (აბისინია) მიღებული ცნობებით, აბისინიის მთავრობის წარმომადგენელი დაბა ბირუ გაემგზავრა იაპონიაში, შაშხანებისა და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობის შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკების საწარმოებლად. (ადს).

ი. ა. დივილკოვსკი

უაზრო შემთხვევამ ჩვენს რიგებს გამოსტაცა ერთგული პარტიელი, საუცხოო ამხანაგი და შესანიშნავი მუშაკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთერთი ძველი თანამშრომელი, ივანე ანატოლის-ძე დივილკოვსკი.

ივანე ანატოლის-ძე გაიზარდა ბოლშევიკურ ოჯახში, ბავშობა გაატარა რევოლუციურ ემიგრაციაში და უკვე ჭაბუკობიდანვე პარტიის მუშაობაში მონაწილეობდა და მისი ინტერესებით ცხოვრობდა. 1917 წელს, 16 წლისა, ის ასრულებს ჟენევაში პარტიის პირველ დავალებებს: კონსპირატიულად სთარგმნის, ბეჭდავს და ავრცელებს ლენინის სტატიებსა და სიტყვებს, საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს.

1918 წელს, როდესაც შვეიცარიაში საბჭოთა პირველი მისია ჩავიდა ის მუშაობს ამ მისიაში და მასთანვე ბრუნდება სსრ კავშირში. ამ მომენტიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ი. ა. რჩება სამუშაოდ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. არა ერთხელ, როდესაც საჭირო იყო საზღვარგარეთ პარტიისათვის თავდადებული თავისი საქმის კარგი მცოდნე, ბოლშევიკურად მომუშავე ამხანაგის გაგზავნა პარტია გზავნიდა ი. ა-ს.

1920 წელს ამხ. დივილკოვსკი იგზავნება მენშევიკურ საქართველოში ს. მ. კიროვის მისიაში სამუშაოდ. 1921 და 1922 წელს ი. ა. მუშაობს საბჭოთა პირველ სრულუფლებიან წარმომადგენლობაში იტალიაში, რომელსაც სათავეში ვ. ვ. ვოროვსკი ედგა. მასთან ერთად ის მუშაობს კონფერენციებზე გენუასა და ლოზანაში.

1923—1926 წლებში ის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მუშაობის შეუწყვეტლად, სადაც ამხ. ლიტვინოვის მდივნად ითვლებოდა, წარმატებით სწავლობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაზე. სწავლასა და მუშაობაში ი. ა. უფრო-დაუფრო ყალიბდება როგორც საუკეთესო საბჭოთა დიპლომატიური მუშაკი. იგი სამ წელიწადს მუშაობს სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში პარიზში და 4 წელიწადს—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივნის პოსტზე. როგორც გენერალური მდივანი ის მუდამ ახლავს ამხ. ლიტვინოვს, როცა უკანასკნელი მიემგზავრება საერთაშორისო კონფერენციებსა და მოლაპარაკებებზე (ჟენევა, ლონდონი, ვაშინგტონი, პარიზი, რომი, ანკარა და სხვ.). 1934 წლის დამლევიდან ი. ა. მუშაობდა პარიზში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩევლად. ტრაგიკულმა შემთხვევამ შესწყვიტა ი. ა-ს სიცოცხლე იმ მომენტში, როდესაც იგი მოემგზავრებოდა სსრ კავშირში, რომ აქ თავისი შვებულება გაეტარებინა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა თანამშრომლისათვის, ყველა ამხანაგისათვის, რომელნიც იცნობდნენ ივანე ანატოლის-ძეს და უყვარდათ იგი, მეტად ძნელია შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ის ჩვენთან აღარ იქნება. ამხ. დივილკოვსკის აფასებდნენ და უყვარდათ, როგორც ერთგული პარტიელი, რომელიც პარტიის საქმეს ანდომებდა მთელ თავის ძალღონეს, მთელ თავის ტემპერამენტს, მთელ თავის ღრმა და მრავალმხრივ ცოდნას, დაუღალავად მუშაობისა და ყოველი დავალების ზუსტად და ზედმიწევნით შესრულების მთელ თავის უნარს. ამხ. დივილკოვსკის აფასებდნენ და უყვარდათ, როგორც საუცხოო ამხანაგი და ერთგული მეგობარი.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო დივილკოვსკი!

მ. ლიტვინოვი, ნ. კრესტინსკი, ბ. სტომონიაკოვი, ვ. პოტიომკინი, ბ. შტეინი, ა. კოლონტაი, ი. იაკუბოვიჩი, ლ. ბერიოზოვი, დ. შტერნი, ე. რუბინინი, ვ. ცუკერმანი, ბ. კოზლოვსკი, ა. ზასლავსკი, ე. გერშელმანი, კ. უმანსკი, ბ. როზენბლუმი, ა. საბანინი, ს. პასტუხოვი, ა. შახოვი, მ. როზენბერგი, ი. გირშფელდი, ს. კაგანი, გ. ასტახოვი, ლ. გელფანდი, ი. ტუმანოვი, ს. ვენცოვი, კ. ანტონოვი, ვ. სოკოლინი, ო. ბირიუკოვი, ვ. კინი, ბ. შმოიშ, მ. ბორშჩინერი, გ. ლაშკევიჩი, ლ. ვაიკის, ვ. პრუსკი, ხ. ვეინბერგი, ა. ფეხნერი, ე. გნედინი, ა. ნეიმანი, ბ. მირონოვი, გ. შმიდტი ვ. ლევინი, ვ. ეგორიევი, ი. კოზოვსკი, ა. რომი, ნ. რივლინა ა სემიონოვი, გ. შეინინი.

ამხ. დივილკოვსკის ცხედრის კრემაცია

პარიზი, 10 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ავტომობილის კატასტროფის დროს დაღუპული ამხ. დივილკოვსკის, პარიზში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩევლის, ცხედრის კრემაცია მოხდება 12 აგვისტოს, 15 საათზე შუა-ევროპის დროით, პერ-ლა-შეზის სასაფლაოზე. (ადს).

ეროვნული

ამხ. ბერიას მოხსენების ღრმად შესწავლისათვის

ამხ. ბერიას მოხსენება—უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, იგი დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოსაძმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ - კავკასიის რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგ სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამჟღავნებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა".

„პრავდა".

ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის

11 აგვისტოს, მუშაობის შემდეგ 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ყველა საამქროში წაკითხულ იქნა 10 აგვისტოს „პრავდის" მოწინავე წერილი „განძი ბოლშევიზმის მატიანეში".

წაკითხვას დაესწრო 800-ზე მეტი მუშა. მოწინავის წაკითხვის შემდეგ გამოვიდა 23 მუშა.

გამოსულები აღნიშნავდნენ პარტიის ისტორიის ღრმად და საფუძვლიან შესწავლის აუცილებლობას და მნიშვნელობას.

მუშებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიისა, და მათი ორგანიზატორის და ხელმძღვანელის დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

გამოსული ამხანაგები განსაკუთრებით ჩერდებოდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ბერიას მოხსენების მნიშვნელობაზე.

— ამხ. ბერიას მოხსენება, — ამბობდნენ მუშები,—დახმარებას გაგვიწევს ბოლომდე გამოვამჟღავნოთ ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორები. მან თვალი აგვიხილა და დაგვანახვა ბოლშევიკური ორგანიზაციების ნამდვილი ისტორია და ჩვენი დიდი სტალინის განსაკუთრებული როლი.

უპარტიო მუშამ ამხ. ხაჩატუროვმა შეიტანა წინადადება, რომ ქარხნის პარტკომმა უახლოეს დღეებში მოაწყოს ექსკურსიები საქართველოს რევოლუციის მუზეუმში, სადაც საუკეთესო ლექტორები გააცნობენ მუშებს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას, აგრეთვე საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლუციური ბოლშევიკური მოძრაობის მოღვაწეთა ბიოგრაფიებს.

ამხ. ხაჩატუროვის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ამ დღეებში პარტკომი აწყობს ექსკურსიებს, აგრეთვე მუშების შეხვედრას ძველ ბოლშევიკებთან, პოლიტკატორღელებთან (ადს).

საფუძვლიანად შევისწავლოთ

(ზუგდიდი)

ზუგდიდის პარტრაიკომმა მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი ამხ. ბერიას მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ყველა ტიპის პარტსწავლების სკოლებში და წრეებში საფუძვლიანად დამუშავებას.

რაიონი დაყოფილ იქნა სამ უბნად. თვითეული უბნის ცენტრში 4 აგვისტოს მოეწყო უბანში შემავალ პარტკომის მდივნების, პარტორგანიზატორების და პროპაგანდისტების საუბნო თათბირები. თათბირებზე გაირჩა საკითხი ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავებისათვის წინასწარი სამზადისის და მისი ორგანიზებულად ჩატარების შესახებ. ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავების საკითხი უკვე დამუშავდა ყველა ტიპის პარტსკოლებში და წრეებში მსმენელთა შორის.

ამასთან, პარტკომის მდივნები, პარტორგანიზატორები და პროპაგანდისტები გაფრთხილებულ იქნენ, რომ ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავებას და თვითეული პარტწევრ-კანდიდატისა, კომკავშირელისა და საერთოდ მსმენელთა მიერ მისი შინაარსის ათვისებას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. ქალაქად—13 და სოფლად 16 აგვისტოს ყველა ტიპის პოლიტსკოლებში და წრეებში დამუშავდება მოხსენების პირველი განყოფილება.

რაიონულმა კომიტეტმა ხელახლა შეამოწმა პროპაგანდისტები და შესცვალა სუსტები, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ძველმა ბოლშევიკმა დიდი ენტუზიაზმით მოჰკიდა ხელი პროპაგანდისტულ სამუშაოს. ასეთები არიან: ურ. როდონაია, აბრ. ფარცვანია და სხვ. პარტსწავლების ქსელში ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავების პირველ შედეგებზე მოხსენება მოსმენილი იქნება რაიკომის ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

კ. შავდია.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში

მუშაობის შემდეგ ქარხნის ეზოში შეიკრიბნენ ქარხნის მუშები, რომლებმაც დიდი ყურადღებით და ულრმესი ინტერესით მოისმინეს ამხ. ნუცუბიძის ინფორმაცია „პრავდის" მოწინავეზე — „განძი ბოლშევიზმის მატიანეში".

მოკლე, შინაარსიან გამოსვლებში ამხ. გუკასოვი (ინჟინერი-თანამგრძნობი), ცერცვაძე (კომკავშირელი), ზამორა (ინსპექტორი — პარტიის წევრი) და სხვები ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიის და კერძოდ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის უკეთ შესწავლა.

განსაკუთრებული ხალისით წარმოსთქვამდნენ მუშები ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ორგანიზატორის და ხელმძღვანელის დიდი სტალინის სახელს, ამასთან ამახვილებდნენ ყურადღებას ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორთა მხილებაზე.

იკისრეს რა ვალდებულება დეტალურად შეისწავლონ პარტიის ისტორია, ამხ. გუკასოვმა შეჯიბრებაში გამოიწვია ყველა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, ხოლო კომკავშირელმა ცერცვაძემ — ქარხნის ყველა კომკავშირელი.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში 12 ძირეული აგიტატორი და მკითხველი ყველა საამქროში ატარებს ამხ. ბერიას მიერ ტფილისის პარტაქტივის კრებაზე გაკეთებული მოხსენების კითხვას.

13 აგვისტოდან ქარხანაში შესდგება პარტგანათლების ქსელის წრეების პირველი მეცადინეობა, სადაც დამუშავდება ამხ. ბერიას მოხსენების პირველი თავი.

ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლა ორგანიზებულად მოვაწყოთ

(ტფილისი, აბრეშუმის ფაბ რიკა)

ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად მოჰკიდა ხელი ამხ. ბერიას მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" — დამუშავება - შესწავლას.

პირველ აგვისტოს მოეწყო პარტორგების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების სპეციალური თათბირი. მოხსენების დამუშავების ფორმებისა და მეთოდების გასაცნობად. ამხ. ბერიას მოხსენების პირველი ნაწილი. ტფილისის კომიტეტის მიერ მიმაგრებულმა ამხ. მირცხულავამ 5 აგვისტოს დაამუშავა პარტორგანიზატორების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების სემინარზე.

7 აგვისტოდან ყველა საამქროებში ცოცხალი საუბრის სახით ამუშავებენ ამხ. ბერიას მოხსენებას. საუბრები ცოცხლად მიმდინარეობს.

ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლებში გაცხოველებით ემზადებიან 13 აგვისტოს დანიშნული პირველი მეცადინეობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ყველა მსმენელს დაურიგდა გაზეთები, რომელშიაც მოთავსებულია ამხ. ბერიას მოხსენება, აგრეთვე მიეცა მითითება ლიტერატურის შესახებ. ფაბრიკის პარტიულ კომიტეტთან მოწყობილია სპეციალური კუთხე ა.-კავკ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მასალებით. წრეებისთვის უკვე შერჩეულია შემოწმებული პროპაგანდისტები. ყველა წრეზე მიმაგრებულია პარტკომის წევრები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან 13 აგვისტოს დანიშნული პირველი მეცადინეობის წარმატებით ჩატარებისა და მსმენელთა უკლებლივ დასწრებისათვის.

11 აგვისტოს მფრინავ მიტინგებზე დამუშავდა „პრავდას" მეთაური „განძი ბოლშევიზმის მატიანეში".

პარტაქტივის კრება

(ლანჩხუთი)

4 აგვისტოს შესდგა ლანჩხუთის პარტორგანიზაციების გაერთიანებული კრება რაიონის პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტებთან და კომკავშირის აქტივთან ერთად.

კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. კ. ბარამიძის მოხსენება ამხ. ლ. ბერიას მოხსენების — „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" შესწავლის შესახებ.

პარტიის წევრები, პროპაგანდისტები და კომკავშირელები დიდი ყურადღებით ისმენდნენ ამხ. ბარამიძის ვრცელ მოხსენებას, რომელიც ორნახევარ საათს გაგრძელდა.

კრებამ დაავალა პროპაგანდისტებს, პარტორგანიზატორებს და კომკავშირის ხელმძღვანელებს უახლოეს დღეებში დაიწყონ ამხ. ბერიას მოხსენების ღრმა დამუშავება-შესწავლა.

გ. ბარამიძე.

როგორ ემზადებიან

(ტრამვაი)

ტრამვაის მეურნეობის პარტორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი გ. კირვალიძე) ამხ. ლ. ბერიას მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" დამუშავებას თავიდანვე სერიოზულად და მოფიქრებულად მოჰკიდეს ხელი. ტრამვაის ყველა საამქროში სპეციალურად გამოყოფილი მომზადებული აგიტატორები ხმამაღლა კითხულობდნენ ამხ. ბერიას მოხსენებას. 10 და 11 აგვისტოს იმავე აგიტატორებმა პარტიის წევრკანდიდატთა და უპარტიო მუშების ჯგუფურ კრებებზე წაიკითხეს „პრავდის" 10 აგვისტოს მოწინავე: „განძი ბოლშევიზმის მატიანეში" და ამხ. კარლ რადეკის წერილი „იზვესტიაში": „როგორ ყალიბდებოდა ბელადი".

მოხსენებებისა და წერილების წაკითხვისას, როგორც პარტიის წევრკანდიდატები, ისე უპარტიო მუშები ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორიისადმი.

ტრამვაის მეურნეობაში პარტგანათლების ქსელი (15 სკოლა—279 მსმენელით) გადაყვანილია ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლაზე და უზრუნველყოფილია მომზადებული და პარტიის რაიკომის მიერ დამტკიცებული პროპაგანდისტებით. ამას გარდა ჩამოყალიბებულია 11 პროფპოლიტსკოლა, სადაც გაერთიანებულია 300-ზე მეტი მსმენელი.

13 აგვისტოს ყველა პოლიტსკოლაში დაიწყება ამხ. ლ. ბერიას მოხსენების პირველი ნაწილის შესწავლა. 16 აგვისტოს ტრამვაის პარტკაბინეტი ქართულ-რუსულ ენაზე ჩაატარებს მასობრივ კონსულტაციას ამხ. ბერიას მოხსენების პირველი ნაწილის გარშემო.

იდეურად შევაიარაღოთ თვითეული კომუნისტი

(ცაგერი).

ცაგერის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში უკვე შევუდექით ამხ. ბერიას მოხსენების — „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" —შესწავლას. რაიკომის ბიურომ 4 აგვისტოს განიხილა საკითხი და მიიღო დადგენილება პირველადს პარტორგანიზაციებში ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლის შესახებ.

3 აგვისტოს მოეწყო ცაგერის უბნის პროპსემინარის წევრების პირველი თათბირი, პარტგანათლების სკოლებში ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავების საკითხზე. პარტგანათლების სკოლებში პირველი მეცადინეობის ჩატარების წინ ეწყობა ცაგერის, ალპანის და ნაკურალების საინსტრუქტორო უბნების პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობა.

ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავებას შეუდგა აგრეთვე რაიკომთან არსებული პარტაქტივის წრე. 4 აგვისტოს პარტაქტივის წრის წევრები უკლებლივ შეიკრიბნენ პარტკაბინეტში და რაიკომის მდივნის ამხ. ხ. ჭელიძის ხელმძღვანელობით ჯგუფურად წინასწარ დაამუშავეს ამხ. ბერიას მოხსენების პირველი განყოფილება — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის".

გ. ყურაშვილი.

სევ. არობელიძე

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი

პირველ ხარისხოვანი ბოსტნეული მშრომელთა სუფრას

1934 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა სპეციალური დადგენილება სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ სამტრედიის რაიონში. ც. კ-მა მხედველობაში მიიღო რაიონის ბუნებრივი პირობების თავისებურებანი და ამის მიხედვით აღიარა იგი ბოსტნეულის, მეხილეობა-მებაღეობის, სასაქონლო-მეღორეობის და მეფრინველეობის რაიონად.

ამ წერილში შევეხებით მხოლოდ საკითხს მებოსტნეობის შესახებ. მებოსტნეობის ერთმა პერიოდმა უკვე განვლო, ამჟამად ვიმყოფებით ბოსტნეულის შემოსავლის მეორე პერიოდის მიჯნაზე; ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შევაჯამოთ პირველი პერიოდის შედეგები და გავითვალისწინოთ მომავლისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ც. კ-ის დადგენილების რეალიზაციისათვის ჩვენი პირველი გამოცდა იყო საშემოდგომო ბოსტნეულის თესვა. რომ გაგვენაღდებია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს ეს დადგენილება, საჭირო იყო დაგვერაზმა ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამ საკითხის ირგვლივ.

რაიონულმა კომიტეტმა დროზე მოჰკიდა ხელი საშემოდგომო თესვას. სახმიწსახკომის მიერ მოცემული ბოსტნეულის თესვის გეგმა ადგილზე დროულად იქნა დაზუსტებული. გეგმის გარეშე ჩვენ გავადიდეთ კომპოსტოსა და ნიორის ნათესები. ასე რომ საქ. მიწსახკომის მიერ ჩვენი რაიონისათვის მოცემული ბოსტნეულის საერთო ფართობი გავადიდეთ თითქმის 50 ჰექტარზე მეტით.

რომ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ყურადღება გაგვემახვილებინა ბოსტნეულის თესვის გეგმების შესრულებაზე, ეს საკითხი დავამუშავეთ რაიონულ კომიტეტის და რაიაღმასკომის პლენუმებზე სოფლის საბჭოების და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებთან ერთად. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის გავშალეთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

დაბრკოლება, რომელიც წინ გადაგვეღობა იყო ის, რომ კომპოსტოს და ნიორის თესლით რაიონის კოლმეურნეობები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობები მომარაგებული არ აღმოჩნდნენ. მაგრამ მიუხედავად ამ სერიოზული დაბრკოლებისა, მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შევასრულეთ ორივე ამ კულტურის თესლის მომარაგების დავალება და მთლიანად უზრუნველვყავით კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეთა მოთხოვნილება.

ჩვენ მიზანს შეადგენდა არა მარტო ბოსტნეულის ფართობის გადიდება, არამედ გასულ წელთან შედარებით მოსავლიანობის აწევაც. ამისათვის უნდა მიგვეღწია ნათესების კარგი დამუშავება-მოვლით, და ბოსტნეულის ფართობებში სასუქის შეტანით. ჩვენ ვუზრუნველვყავით ნათესების სათანადო აგრო-წესების მიხედვით დამუშავება. შემოდგომაზე ბოსტნეულის ნათესებში შევიტანეთ 200 ურემი ბუნებრივი სასუქი.

1934 წლის შემოდგომაზე გეგმით ჩვენ კომპოსტო უნდა გაგვეშენებია 180 ჰექტ.; ფაქტიურად გავაშენეთ 284 ჰექტარზე, გეგმა 158 პროც. შევასრულეთ. ნიორი უნდა გაგვეშენებია 16 ჰექტარზე, გავაშენეთ 44 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულ იქნა 275 პროცენტით. ამ ნათესებიდან ჩვენ მივიღეთ საუკეთესო ხარისხის კომპოსტო 1420 ტონა, ხოლო ნიორი 132 ტონაზე მეტი.

რადგან ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაციაზე დიდათაა დამოკიდებული მებოსტნეობის შემდგომი განვითარება, ამიტომ აქ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ პროდუქციის რეალიზაციის საქმეს და იმ უყურადღებობას, რომელსაც ჩვენი რაიონის მიმართ იჩენენ დამამზადებელი ორგანიზაციები.

საქმე უმთავრესად შეეხება კომპოსტოს გატანას სამტრედიის რაიონიდან.

რაიონში წელს კომპოსტოს ცენტრალიზებული დამზადება არ ჩატარებულა, რაიაღმასკომის დამზადებათა კომიტეტს დეცენტრალიზებული დამზადების წესით უნდა დაემზადებია 1000 ტონა კომპოსტო. თუ მხედველობაში მივიღებთ ამავე დამზადების კომიტეტის ცნობებს, რაიონში წელს დამზადდა მხოლოდ 783 ტონა. ერთი შეხედვით აქ საქმე გვაქვს გეგმის შეუსრულებლობასთან, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე არა არის.

რაიონულ კომიტეტში და რაიაღმასკომში არის კულაშის, ლანირის და ჯიხაიშის სასოფლო საბჭოების უამრავი განცხადებები: იქ მომუშავე ამხანაგები გვთხოვენ რაიკომისა და რაიაღმასკომის საქმეში ჩარევით აიძულონ დამამზადებელი ორგანიზაციები მიიღონ დამზადების პუნქტებში მოტანილი კომპოსტო. ერთ-ერთი ცნობა, რომელიც რაიკომს და რაიაღმასკომს გამოუგზავნა კულაშის საბჭოს თავმჯდომარემ, ასეთი შინაარსისაა: „რაიონმა შესწყვიტა კომპოსტოს მიღება. კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეებს პუნქტზე მიტანილი აქვთ კომპოსტო, მაგრამ მას არ ღებულობენ, გეგმა შესრულებული კი არ არის".

ასეთი მომართვა ბევრია. რაიკომსა და რაიაღმასკომს უხდება ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩაერიოს საქმეში და აიძულოს დამამზადებლები მიიღონ და რეალიზაცია უყონ კომპოსტოს მოსავალს.

დამამზადებელ ორგანიზაციების უხეირო მუშაობის შედეგია ისიც, რომ კომპოსტო, რომლის აღებაც მაისის ბოლოსათვის უნდა მოთავებულიყო ჯერ კიდევ მთლიანად აღებული არ არის. მიწის ფართობი, რომელზედაც დღემდე სხვა კულტურა უნდა დაეთესათ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა. გარდა ამისა ბევრგან თვით კომპოსტოს პროდუქცია გადაბერების გამო ფუჭდება ხოლმე.

თუ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა დამზადებათა კომიტეტმა, თუ მან არ უზრუნველყო ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაცია, მაშინ მებოსტნეობის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან მეურნეობებს დაეკარგებათ სტიმული.

რაიონში ამჟამად გვაქვს 284 ჰექტარი პამიდორის და 139 ჰექტარი კიტრის ნათესი. ამ კულტურების პროდუქცია უკვე დიდძალია შემოსულია და სწარმოებს მისი გატანა. ჯერჯერობით მათი დამზადება დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, მაგრამ მოსალოდნელია ერთი შეფერხება, რომელსაც განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მხრივ.

სამტრედიის რაიონის პამიდორი თითქმის მთლიანად მზადდება ქუთაისის საკონსერვო ქარხნისათვის. სამტრედიიდან მისი გადაზიდვა ქუთაისამდე ხდება ავტოტრანსპორტის საშუალებით. პამიდორის მასობრივი კრეფის პერიოდში საჭიროა, ტრანსპორტის ყოველმხრივ მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება პროდუქციის გაფუჭებას.

დამამზადებელი ორგანიზაციები ჩვენს რაიონში მაშინ გაჩნდებიან. როდესაც ბოსტნეულის დამზადება იწყება, მანამდე კი ისინი კოლმეურნეობებს საჭირო დახმარებას არ უწევენ. მაგალითისათვის საკმარისია ავიღოთ „საქკონსერვბაღბოსტანტრესტი", ან „საქხილბოსტანი", რომლებიც ჩვენს რაიონში მთავარი დამამზადებლებია.

მიუხედავად იმისა, რომ საკონტრაქტაციო ფურცელში მათ ვალდებულება აქვთ აღნიშნული აგრომომსახურების გაწევა, —ამ დავალებას ისინი არ ასრულებენ. ადგილი აქვს შესყიდული პროდუქციის ღირებულების გადაუხდელობასაც. მაგ. „საქბაღბოსტანკონსერვტრესტს" ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეების მართებს 34.000 მანეთი.

ეს გარემოება, რათქმა უნდა აფერხებს არამარტო დამზადების გეგმის შესრულებას, არამედ ხელს უშლის მებოსტნეობის განვითარებასაც.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენ უნდა დავთესოთ 280 ჰექტარზე კომპოსტო და 124 ჰექტარზე ნიორი. ამ გეგმის შესასრულებლად რაიონში უკვე გაშლილია ფართო მოსამზადებელი მუშაობა. სწარმოებს ფართობების გამოყოფა, თესლის შერჩევა - მომარაგება, სასუქის დამზადება. ეჭვი არაა ბოსტნეული კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმას რაიონი შეასრულებს ვადაზე და მაღალი ხარისხით.

სამრეწველო მებოსტნეობა სამტრედიის რაიონში ფართოდ იკიდებს ფეხს. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამ კულტურის ჩქარი ტემპით განვითარების შესახებ, წარმატებით ხორციელდება. სამტრედიის რაიონის პარტიული ორგანიზაცია მომავალშიც ენერგიულად იბრძოლებს იმისათვის, რომ საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიაწოდოს უფრო მეტი იაფი და მაღალხარისხოვანი ბოსტნეული.

იხსნება 3 ახალი საკოლმეურნეო უნივერსიტეტი

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რესპუბლიკურ შეფბიუროს საანგარიშო მოხსენება — სიღნაღში, ლანჩხუთში და ხაშურში მიმდინარე წლის გახსნილი თითოწლიანი საკოლმეურნეო უნივერსიტეტების მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ, მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი პირობებისა (შესაფერი შენობების უქონლობა, სახელმძღვანელოების სიმცირე და სხვ.), სწავლა საკოლმეურნეო უნივერსიტეტებში ნაყოფიერად მიმდინარეობდა.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა შეფბიუროს — შეუდგეს მუშაობას სამი ახალი საკოლმეურნეო უნივერსიტეტის გასახსნელად. უნივერსიტეტები გაიხსნება აჭარისტანში, აფხაზეთში და ზუგდიდში. გარდა ამისა, შეფბიუროს დაევალა შეისწავლოს საკოლმეურნეო უნივერსიტეტების მოწყობის საკითხი ბორჩალოსა და ახალციხის რაიონებში.

მთავრობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა — საკოლმეურნეო უნივერსიტეტის მსმენელებს სწავლის დღეები ჩაერიცხოთ შრომადღეებად.

კ. ბუჯიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი

ხულო წინათ და ახლა

ძველი [illegible] სურათზე: რაიონის [illegible]

ხულო აჭარისტანის ყველაზე დიდი სანაპირო რაიონია. მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს ეს რაიონი წარმოადგენდა კულაკებისა და ბეგ-აღების სათარეშოს, ყველაზე ჩამორჩენილი ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის, ფანატიზმის, სიბნელისა და უკულტურობის ბუდეს. აუტანელი იყო ხულოს გაღატაკებული, უმიწაწყლო გლეხის იმდროინდელი მდგომარეობა, რომელშიც ჩააყენეს იგი მეფისა და მენშევიკების ხელისუფლებამ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მაშინ 95 პროც. აღემატებოდა, არც ერთი სკოლა მშრომელთა ბავშვებისათვის, არც ერთი კლუბი, სამკითხველო, საავადმყოფო, არც ერთი კულტურული წამოწყება! სამაგიეროდ სოკოსავით იზრდებოდა მეჩეთებისა და მედრესების — რელიგიური სკოლების რიცხვი. ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე აჭარელი ქალის ველური დამონავება ოჯახსა და საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაში, გვარეულობათა შორის შუღლის, მტრობის და სისხლის აღების გაღვივება, მექრთამეობა, ექიმბაშობა. აი ძველი ხულოს სოფლის სახე. ძნელია მაშინდელი პოლიტიკური მართვა - გამგეობის მთელი საშინელების აწერა; აუტანელ პირობებში ცხოვრობდა მაშინ აჭარელი გლეხი.

მხოლოდ ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყვეს მშრომელი აჭარლებისათვის თვითგამორკვევისა და კულტურულ - ეკონომიური აღორძინების პირობები ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საფუძველზე. და აი ახლა ხულო აღარ არის ის, რაც იყო წინათ. სიბნელესა და უმეცრებაში ჩაფლული ძველი ხულო სამუდამოდ ბარდება წარსულს. ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე ხულოს რაიონი ისევე, როგორც მთელი აჭარისტანი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაადგა სამეურნეო და კულტურული აღმავლობის გზას და უკან სტოვებს თავის საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას.

შეიცვალა ხულოს სოფლის სოციალურ - ეკონომიური ელფერი. საკოლმეურნეო წყობილება აქაც მტკიცედ და სამუდამოდ დამკვიდრდა. კოლექტივიზაციის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დონის მიუხედავად (მიწის საერთო შრომით დამმამუშავებელი ამხანაგობანი), უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით იმ ფაქტს, რომ ხულოელი გლეხიც დაადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გზას. კოლმეურნეობები თვით დღევანდელი სახითაც კი დიდ სარგებლობას გვაძლევენ არა მარტო კონსერვატიზმის თანამიმდევრობითი დაძლევისა და მშრომელ გლეხობაში კოლექტიურ ჩვევათა დანერგვის თვალსაზრისით, არამედ შეძლებული და კულტურული ცხოვრების მოპოვების თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჩვენი მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი, რა თქმა უნდა, ისედაც უფრო ეფექტიურნი ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით — თანდათანობით გადაიქცევიან სას.-სამ. არტელად. ამას მოწმობს უკანასკნელ ხანებში ჩატარებული სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების ფართოდ ახსნა - განმარტება და ის დიდი ინტერესი, რომელსაც არტელის მიმართ იჩენს მიწის საერთო შრომით დამმამუშავებელ ამხანაგობათა წევრებისა და აგრეთვე მშრომე[illegible] საგრძნო[illegible] შედეგა[illegible] რობები [illegible] ბულ დ[illegible] საერთო [illegible] ხანაგობათა გადასასვლელად სას.-სამ. არტელის ახალ წესდებაზე (მუახევი, დიდ-აჭარა, სამოლეთი და სხ.). თამბაქოს და კარტოფილის კულტურისა და აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების ბაზაზე დღეს უკვე ჩვენს მიწის საერთო შრომით დამმამუშავებელ ამხანაგობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 42 პროცენტი.

რაიონში ჩამოყალიბებულია მეთამბაქოობის 62, მეკარტოფილეობის — 38 და მეცხოველეობის 10 კოლმეურნეობა. მიწის საერთო შრომით დამმამუშავებელი ამხანაგობანი ხდებიან სოფლად აგროტექნიკურ ღონისძიებათა და შედარებით უფრო მაღალი მოსავლის ორგანიზატორები. 1934 წლის ყველა საგეგმო დავალება სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი თამბაქოს, კარტოფილის, ხორცის და სხვა პროდუქტების ჩაბარების საქმეში რაიონის კოლმეურნეობებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს. წელს გაცილებით უფრო უკეთესია სას.-სამ. სამუშაოთა და სახელმწიფო დავალებათა შესრულების მდგომარეობა კოლმეურნეობებში.

ამ წლების მანძილზე მიწის საერთო შრომით დამმამუშავებელმა ამხანაგობებმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბევრი ორგანიზატორი აღზარდეს სოფლად: კოლმეურნეობათა თავმჯდომარე[illegible] სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მთელ საქმეს უდგანან სათავეში.

წლითი-წლობით იზრდება მოსახლეობის წერა - კითხვის მცოდნეობა და კულტურული დონე. 1936 წლის დამლევისათვის ძირითადად ბოლო მოეღება წერა - კითხვის უცოდინარობას და ხულოს რაიონი ჩადგება წერა - კითხვის მთლიანი მცოდნეობის რაიონთა რიგებში. იზრდება სახელმწიფო ხარჯები სახალხო განათლების ხაზით. მიმდინარე წელს იგი შეადგენს 1.418 ათას მანეთს, 1931 წლის 325.500 მან. წინააღმდეგ. უკვე გასული წლიდან შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება 4 წლიან განათლების ბაზაზე. ამჟამად რაიონში არის 121 დაწყებითი და 1 სრული საშუალო სკოლა, სადაც სწავლობს 5.000 მეტი ბავშვი, მათ რიცხვში 1700 აჭარელი გოგონა. გარდა ამისა, ჭრა-კერვის სკოლებსა და ლიკპუნქტებში ჩაბმული იყო 1500 კაცი, მათ შორის 400 აჭარელი ქალი. ჩვენმა სრულმა საშუალო სკოლამ წელს პირველად გამოუშვა 11 აჭარელი ახალგაზრდა საშუალო განათლებით. ახალი სასწავლო წლიდან იგი გადაკეთებულ იქნება პედაგოგიურ ტექნიკუმად, რომელიც შეივსება მხოლოდ ადგილობრივი აჭარელი ახალგაზრდობით. ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ხულოს რაიონი [illegible]ტით. უნდა აღინიშნოს უკანასკნელ ხანებში თვით მშრომელი მოსახლეობის განსაკუთრებული ენტუზიაზმი სასკოლო მშენებლობისადმი, რაც მოწმობს ფართო მასების აქტიობისა და ცოდნისადმი მისწრაფების ზრდას.

რაიონში არის ფართოდ განშტოებული ქსელი კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა: სამკითხველოები, წითელი კუთხეები, მოძრავი კინოები, რადიო, საექიმო პუნქტები, საავადმყოფო, რაიონული გაზეთი და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა ამხ. ლ. ბერიას სახელობის რაიონული კლუბის მშენებლობა, რომელსაც ბადალი არ გააჩნია არამც თუ აჭარისტანის რაიონებში, არამედ საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონშიაც. იგი მოწყობილია ქალაქის ტიპის თეატრის მსგავსად: სუფთა ფოიეთი, ტანსაცმლის გასახდელით, მასობრივი მუშაობისათვის, თამაშობისა და გართობისათვის საჭირო ოთახებით; შენობა 400 კაცზე მეტს იტევს. მოწყობილია აგრეთვე ახალი ხმოვანი კინო, რომელიც დიდძალ გლეხებს და აჭარელ ქალებს იზიდავს.

ყველა ეს კულტურული დაწესებულებანი მოწოდებულნი არიან აწარმოონ გაშლილი ბრძოლა მშრომელთა მასების სოციალისტური აღზრდისათვის, ძველი ყოფაცხოვრების, კულტურისა და ჩვევების ნაშთების წინააღმდეგ.

სულ ცოტა ხნის განმავლობაში ისე შეიცვალა ხულოს რაიონული ცენტრის სახე, რომ მას ერთი წლის წინათ მნახველი უკვე ვეღარ იცნობს. ის, რასაც ერთი წლის წინათ წარმოადგენდა ხულო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა და მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ზოგჯერ ჩვენ მთლიანად ვერ ვიყენებთ ყველა იმ შესაძლებლობას, რაც თვით რაიონის შიგნით მოიპოვება.

საკუთარი ელექტრო სადგური, სუფთად მოწყობილი სასტუმრო, სასადილოები, საფეიქრო მაღაზიები და სხვ. — ყველაფერი ეს უკვე გუშინდელ დღეს ეკუთვნის. ხულო წინ მიდის.

ვასრულებდით რა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხ. ლ. ბერიას მითითებებს, ჩვენ წელს თვალსაჩინო მუშაობა ჩავატარეთ ხულოს კეთილმოწყობისა და გამწვანების დარგში. აღებულ იქნა 25 ძველი სახლი, გადაკეთდა და შელამაზდა შენობების ფასადები, გაიხსნა მთელი რიგი ახალი მაღაზიები; გაფართოვდა და ქვით მოიკირწყლა ბათომ-გოდერძის გზის საბაზრო ნაწილი 300 მეტრის სიგრძეზე; დამთავრების პროცესშია გამწვანება და 5 ახალი სკვერის მოწყობა; ამასთან სარგავი მასალა პირველად შემოტანილ იქნა აჭარისტანის სუბტროპიკული ზოლიდან (ტუია, ბუქსუსი, გიმალაის კვიპაროსი, ვარდები და სხ.); 2 სკვერში უკვე დამთავრდა შადრევნების მოწყობა. წელს მარტო გამწვანებაზე 7.000 მანეთზე მეტი დაიხარჯება.

ახლო ხანში დამთავრდება აჭარისტანის რაიონებში პირველი კოლმეურნის სახლი, სადაც ეწყობა კულტურული სახაიე, სამკითხველო, დასასვენებელი ოთახი, სუფთა სასტუმრო და სხ.

მთელს ამ მუშაობას რაიონული ცენტრის ახალი სოციალისტური კულტურის საფუძველზე გარდაქმნის მიმართულებით უსათუოდ დიდი აღმზრდელობითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხულოს რაიონის კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა მასებისათვის. იგი ცხადად ამტკიცებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერეს, ზრუნვას **მშრომელთა მატერიალურ - კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ნერგავს ახალი სოციალისტური კულტურისა და ყოფაცხოვრების ჩვევებს.** შემთხვევითი როდია, რომ ცალკეულმა სოფსაბჭოებმა ადგილობრივი ინიციატივის წესით გადაიღეს რაიონული ცენტრის მაგალითები და შეუდგნენ საკეთილმოწყობო მუშაობას ადგილობრივ (ხიხაძირი, სხალთა და სხ.). კიდევ მეტი: ჩვენი ღონისძიებების ზეგავლენით ბევრი კოლმეურნე იწყებს თავისი ოჯახის კერის კულტურულად გარდაქმნას, აცალკევებს საქონლის ბოსელს საცხოვრებელი ბინისაგან, აშენებს საკარმიდამო ნაკვეთს და სხვ.

ასეთია მოკლე სურათი იმისა, თუ როგორ იზრდება ბნელი, მივიწყებული და ფანატიკური ხულოდან ახალი სოციალისტური ხულო.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი წარმატებანია, მთავარი ჯერ კიდევ წინ არის.

ეს წარმატებანი, რომლებიც განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზეა მოპოვებული, შედეგია იმ უდიდესი ზრუნვისა და ყურადღების, რომელსაც იჩენს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ა.-კ. ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია, რომელიც პირადად იხილავს ხულოს რაიონის საკითხებს და დაუღალავად ეხმარება მას, — ჩადგეს იგი აჭარისტანისა და საქართველოს მოწინავე რაიონთა რიგებში.

◆

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 2-ის დადგენილებისა „სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ და ა.-კ. ფსსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 8-ის დადგენილებისა „ა.-კ. ფსსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192, 1935 წ. № 15, მუხ. 94) მოქმედება განგრძობილ იქნას 1936 წლისთვის. ამასთანავე, დადგენილებაში შეტანილ იქნას ქვემო მუხლებში აღნიშნული ცვლილებანი.

2. შემოღებულ იქნას 1936 წელს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესების (გარდა ბოსტნებისა, ბაღებისა და სახმილოებისა), აგრეთვე ბაღების და ვენახების მოსავლის დაზღვევა წყალდიდობის, დამვრის, ჩახარშვის და დაღუპვისაგან—იმ სადაზღვევო საზღაურის ნორმების და სადაზღვეო ტარიფების მიხედვით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაზღვევისათვის (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 და 6 დანართი).

ეს აღნიშნული სახის დაზღვევა შემოღებულ იქნეს შემდეგ რაიონებში: დუშეთის (ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების გარდა), თიანეთის (სოფლებ ბაჩალის და ხაშალის გარდა), ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის ხაშურის, ჯულელის, ჩხარის, ქუთაისის. ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ვანის სამტრედიის, ხონის, აბაშის; მარტვილის, მიხა ცხაკაიას, ზობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ფოთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის რაიონებში; აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ჯავისა და ლენინგორის რაიონებში.

3. 1 წლიდან 2 წლამდე მოზარდი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევისათვის არსებული ცალკე სადაზღვეო საზღაურის ნორმა 1936 წელს გაუქმებულ იქნას. და ამ ასაკის მოზარდი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევისათვის შემოღებულ იქნას სადაზღვეო საზღაური იმ ნორმით, რაც დაწესებულია სათანადო სახის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევისათვის 2 წლიდან (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 დანართი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. ყურულაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე.

1935 წ. აგვისტოს 10.
ტფილისი.

ა. შირვან-ზადეს ხსოვნას

ლენინაკანი, 1 აგვისტო. გუშინ საღამოს სახელმწიფო თეატრში შესდგა შირვან-ზადეს ხსოვნის საგლოვიარო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დარბაზი გაჭედილია ხალხით. სცენაზე მოთავსებულია სახალხო მწერლის პორტრეტი, ალთუნიანის დახატული. სხდომის დროს ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული, რომელშიაც დგანან ახალგაზრდა მწერლები, არტისტები, მუშები, მასწავლებლები, პიონერები, სხდომის პრეზიდიუმში არიან ქალაქკომის მდივნები ამხ. ღარიბიანი, ხაჩიკიანი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გევორქიანი და სხ.

სახალხო მწერლის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სოლომონ ტარონცმა. მან დაახასიათა განსვენებული მწერალი, როგორც სომხური რეალისტური ლიტერატურის და დრამატურგიის ფუძემდებელი, რომელიც შეუსვენებლივ მუშაობდა კულტურულ ფრონტზე უკანასკნელ წუთამდე. დიდი დანაკლისის გამო სამძიმარი გამოსთქვა ახალგაზრდა მწერლების წარმომადგენელმა, მუშა არტისოვმა. ახალგაზრდა პოეტმა პეტიანმა წაიკითხა დიდი მწერლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

ლენინაკანის ორგანიზაციები დაკრძალვაზე ერევანში მგზავნიან 25 დელეგატს.

★

ბაქო, 11 აგვისტო. სახალხო მწერლის შირვან-ზადეს დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად 10 აგვისტოს, ღამით ბაქოდან ერევანში გაემგზავრა აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია.

★

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება, რომ 12 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სომხეთის სახალხო მწერლის შირვან-ზადეს ცხედრის ტფილისში ჩამოსვენების გამო, ტფილისის რკინისგზის სადგურის დარბაზში შესდგება საგლოვიარო მიტინგი.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობის გაფორმება

ამჟამად მიმდინარეობს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ამიერ-კავკასიის ფილიალის შენობის მხატვრული გაფორმება. ფასადები გაფორმებული იქნება ბოლნისის ყვითელი ქვით, რომელიც ლუქსემბურგის ახლოს მოიპოვება. გვერდისა და ეზოს ფასადები გაფორმებული იქნება ბაზალტით. თექვსმეტი 17-მეტრიანი კოლონა თვითეული ორი მეტრის დიამეტრით, აგრეთვე შენობის ზეძირკველი გაფორმებული იქნება კურსების ნაცრისფერი თლილი გრანიტით. მთავარ ფასადზე ფრიზი 57 მეტრის სიგრძით მორთული იქნება ბარელიეფებით, რომლებსაც მხატვარ შარლემანის ესკიზებით დაამზადებენ მოქანდაკეები პატარიძე, თოფურიძე და სხვები. მთავარი ფასადის ორ გვერდულ ფრთაზე მოთავსებული იქნება რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის დამზადებული ბარელიეფები.

შენობის შიგნითა სადგომები გაფორმებული იქნება აკადემიკოს ლანსერეს, პროფ. გუდიაშვილის და სხვათა სურათებით, აგრეთვე სკულპტურული ორნამენტაციით სხვადასხვა გვარი მარმარილოსგან. შენობის ფასადთა მხატვრული გაფორმება უნდა დამთავრდეს 1936 წლის დამდეგისათვის.

მეცნიერთა ახალი კადრები

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ეთნოგრაფ - ლინგვისტებმა ამხ. შოთა ძიძიგურმა და იოსებ მეგრელიძემ დაამთავრეს აკადემიკოს მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტურა ლენინგრადში, სადაც ისინი მივლინებული იყვნენ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ.

ივლისის დამლევს ახალგაზრდა მეცნიერებმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში დაიცვეს დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამხ. ძიძიგურმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის კილოკავების კლასიფიკაციის ცდა“, ამხ. მეგრელიძემ კი—თემაზე „მეგრული და ლაზური ფენები გურულ კილოკავში“.

კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ტფილისში მიღებულ ცნობებით, ორივე ასპირანტმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ახალგაზრდა მეცნიერები თავის სამეცნიერო მუშაობას საქართველოში გააგრძელებენ.

ხელოვნება

სიმფონიური სეზონი

საბჭოთა კავშირის საუკეთესო სიმფონიური კოლექტივები, როგორიც არის მოსკოვის დიდი საოპერო თეატრისა და ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრები, წელს ამიერ-კავკასიაში მუშაობენ: დიდი თეატრის ორკესტრი—ტფილისში, ხოლო ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრი, რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი—ბაქოში.

ამიერ-კავკასიის ორივე ცენტრში სიმფონიური სეზონი წელს დიდი წარმატებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ითქმის ეს ტფილისზე, სადაც შესანიშნავი ორკესტრის ყოველი გამოსვლა კულტურული დღესასწაულის ხასიათს ატარებს. ამ ორკესტრისა და მთელი რიგი გამოჩენილი დირიჟორების წყალობით ტფილისის მაყურებელი ეცნობა არა მარტო სიმფონიური ლიტერატურის კორიფეების ნაწარმოებებს, არამედ თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც.

სიმფონიური სეზონი გაიხსნა მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის ა. მელიქ-ფაშაევის გამოსვლებით, რომელიც სრულიად საკავშირო რადიო-კომიტეტის მთავარმა დირიჟორმა ა. გაუკმა შესცვალა. ორივე საბჭოთა დირიჟორის გამოსვლამ დიდი მხატვრული წარმატებით ჩაიარა.

ა. გაუკი ცნობილია როგორც თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა დაუღალავი პროპაგანდისტი. მან არც ტფილისში უღალატა თავის თავს. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრმა შეასრულა ნაწყვეტები ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებიდან (ბალეტი „ბოლტ“ და ოპერა „კატერინა იზმაილოვა“), რომლებსაც ტფილისი დღემდე არ იცნობდა.

წლევანდელი სიმფონიური სეზონი მდიდარია უცხოელი დირიჟორების გამოსვლითაც ჯერჯერობით ჩვენ ვნახეთ ავსტრიელი დირიჟორი პაულ პელა, გერმანელი გეორგ სებასტიანი და ფრანგი როჟე დეზორმიერი.

თუ პაულ პელას გამოსვლამ ვერ დასტოვა სათანადო შთაბეჭდილება, სამაგიეროდ გ. სებასტიანის და რ. დეზორმიერის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სადირიჟორო ხელოვნების ფრიად ორიგინალურ და საინტერესო წარმომადგენლებთან.

გ. სებასტიანი უკვე რამდენიმე წელიწადია საბჭოთა კავშირში მუშაობს. ის მოსკოვის რადიო-კომიტეტის ორკესტრს ხელმძღვანელობს. ტფილისში სებასტიანი მეორედ ჩამოდის. სებასტიანი ვაგნერის მუსიკალური მემკვიდრეობის საუკეთესო მცოდნე და ინტერპრეტატორია და დიდ მუშაობას ეწევა ვაგნერის ნაწარმოებთა პოპულარიზაციისათვის. მისი ხელმძღვანელობით მოსკოვში პირველად იქნა შესრულებული რ. ვაგნერის ოპერა „ტრისტან და იზოლდა“.

გ. სებასტიანს, როგორც დირიჟორს, ახასიათებს უდიდესი მუსიკალური მეხსიერება (ყველა ნაწარმოებს ის ზეპირად ასრულებს), ბრწყინვალე ტექნიკა და უსაზღვრო ტემპერამენტი, რომლითაც ის იტაცებს არა მარტო ორკესტრის შემსრულებლებს, არამედ მთელ დარბაზსაც. შესანიშნავად ჩაატარა სებასტიანმა ჩაიკოვსკის მეხუთე და მეექვსე სიმფონია და საოპერო ნაწყვეტების საღამო. ამ საღამოს მასთან ერთად ყურადღების ცენტრში იდგა მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი დ. ანდღულაძე, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა არიები ოპერებიდან „აიდა“, „ტოსკა“, „ჯამბაზები“ და „კარმენ“.

ფრანგი დირიჟორი როჟე დეზორმიერი გამოჩენილი ევროპელი მუსიკოსია. პარიზში ის ხელმძღვანელობს ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრს და ნაციონალურ რადიო-ორკესტრს. დეზორმიერს შემოვლილი აქვს მთელი ევროპა, ის დირიჟორობდა საუკეთესო ორკესტრებს საფრანგეთსა, ინგლისსა, გერმანიასა, იტალიასა და ბელგიაში. საბჭოთა კავშირში დეზორმიერი პირველად არის.

„არიან დირიჟორები,—სწერდა ერთერთ წერილში განსვენებული ა. ვ. ლუნაჩარსკი,—რომლებშიაც ჯოხის პირველი აქნევისთანავე გამოიცნობ შესანიშნავ მხატვარს“.

სწორედ ასეთ დირიჟორებს ეკუთვნის ფრანგი სტუმარი როჟე დეზორმიერი. მას, როგორც გ. სებასტიანს, დიდი ტექნიკა, რიტმის გრძნობა და ტემპერამენტი ახასიათებს, ამავე დროს ის უბრალო და თავდაჭერილია.

დეზორმიერით არ თავდება უცხოეთის დირიჟორების გასტროლები. მის შემდეგ რამდენიმე კონცერტისათვის მოწვეულია გამოჩენილი ბელგიელი დირიჟორი დეზირე დეფო. დაიწყო აგრეთვე ვიოლინოზე დამკვრელის ფრანგ სოტანსის გასტროლები.

მაგრამ რამდენადაც ნიჭიერი არ უნდა იყვნენ ეს სტუმრები, მთავარი სიმფონიურ კონცერტებში მაინც თვით ორკესტრია. ამ შესანიშნავი კოლექტივის მოწვევა, რომელიც თავის რიგებში ითვლის იმდენ მაღალკვალიფიციურ შემსრულებლებს, როგორიც პროფ. ციტლინია, დამსახურებულად ჩაითვლება საქართველოს ფილარმონიის.

რომ ფილარმონიის მუშაობა სერიოზული სიმფონიური მუსიკის დანერგვის დარგში უფრო ნაყოფიერი იყოს, საჭიროა ორკესტრთან ერთად გამოდიოდეს პროგრამის კომენტატორი. ბაქოში ამ მიზნით სპეციალურად ორი კვალიფიციური მუსიკოსი ჰყავთ მოწვეული (პროფ. ჩემოდანოვი და პროფ. ვლადიმიროვი). ზედმეტი არ იქნებოდა ეს პრაქტიკა ტფილისშიც შემოგვეღო.

შ.

ვემზადოთ ავიაციის დღისათვის

ვაგროვებთ თანხებს

საქართველოს აეროკლუბების ფონდისათვის



ტფილისის აეროკლუბის მუშაობა

1934 წელს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებრიობის ინიციატივით ტფილისში ჩაისახა პატარა ექვსჯგუფიანი აეროკლუბი, რომელმაც თავისი მცირე სიმძლავრის გამო მხოლოდ 1935 წლის მარტში შესძლო გამოეშვა პირველი 26 მფრინავი წარმოებიდან მოუწყვეტლად.

საქართველოს ლენინური კომკავშირის და ტფილისის პროლეტარული საზოგადოებრიობის დახმარებით, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით ტფილისის აეროკლუბი 1935 წლის აპრილში გაიზარდა 12 ჯგუფიან კლუბად (მოსწავლე პილოტთა ფაქტიური რიცხვი — 19 ჯგუფია), ამასთან ერთად ტფილისის და საქართველოს მშრომელებისათვის იგი გადაიქცა საავიაციო კულტურის კერად.

1935 წლის ოთხი თვის განმავლობაში ტფილისის აეროკლუბმა ჩაატარა: 2500 დაშვება, 450 საათის ფრენა, 200-ზე მეტი პარაშუტით გადმოხტომა თვითმფრინავიდან და 7.000 გადმოხტომა კოშკიდან. საქართველოში მთავრდება სამი ახალი საპარაშუტო კოშკის მშენებლობა და გაფორმება, ამასთან შენდება კიდევ 10 კოშკი. ჩატარდა 1.000 გაფრენა სტანდარტულ პლანერზე. კლუბმა მოამზადა: 1.000 ავიომოდელისტი, ავიოსამოდელო საქმის 20 ინსტრუქტორი, 50 პლანერისტი, 17 ინსტრუქტორი საპლანერო წრეებისათვის, თვითმფრინავიდან გადმომხტომი 110 პარაშუტისტი, 4 ინსტრუქტორი — მფრინავი.

ამას გარდა, ნორმები ჩააბარა (კოშკებით გადმოხტომა, სამოტორო საქმე და სხვ.) 7.000 კაცმა. გაიმართა თეორიული მეცადინეობა სხვადასხვა კონტინგენტის ახლად მიღებულებთან 1.400 საათის განმავლობაში.

აეროკლუბის სასწავლო - საფრენოსნო მუშაობამ უავარიოდ ჩაიარა.

ამჟამად აეროკლუბში სწავლობს 115 მოსწავლე — მფრინავი, 60 ავიომოტორისტი, 120 პარაშუტისტი, 240 პლანერისტი, საპლანერო წრეების 30 ინსტრუქტორი. ყველანი 1935 წელს არიან მიღებული.

თვით აეროკლუბში ამჟამად სწავლობს 587 კაცი. აქედან: მამაკაცი — 517, ქალიშვილი — 70. მოსწავლეთა შორის არიან: ქართველები, სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, ებრაელები და სხვ.

კლუბში ჩამოყალიბებულია საუარჯიშო რაზმი იმ მფრინავთა სავარჯიშოდ, რომლებმაც წინათ დაამთავრეს სწავლა აეროკლუბში. აეროკლუბი გადაყვანილია და მუშაობს ტფილისის თავდაცვის სახლის კარგად და კულტურულად მოწყობილ შენობაში. კლუბში მოწყობილია სათვითმფრინავო, სამოტორო, საპარაშუტო, სანავიგაციო, ტაქტიკური, პარტიული და ავიოსამოდელო კაბინეტები.

საანგარიშო პერიოდში (ფაქტიურად სამი თვის განმავლობაში) მოხდა 13 აგიტგაფრენა საქართველოს რაიონებში, 6 მასობრივი ფრენა აეროდრომზე და ერთი პლანეროდრომზე, რომლებსაც ქალაქ ტფილისის და კოლმეურნეობათა 11.000 მშრომელი დაესწრნენ. გაიმართა წარმოებათა და კოლმეურნეობათა დამკვრელების (250 კაცის) საჰაერო სეირნობა.

ტფილისის აეროკლუბის მთელი მუშაობა ჩატარდა იმ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, საიდანაც გამოგზავნილი არიან კონტინგენტები სასწავლებლად, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სამეურნეო მუშაკები ვერ აფასებენ კადრების მომზადების მნიშვნელობას და უარს ამბობენ სწავლის ფულის გადახდაზე.

ტფილისის აეროკლუბი საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და პირადად ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით ხდება ამიერ-კავკასიის მშრომელთა ყველაზე უფრო საინტერესო და საყვარელი სპორტის — საავიაციო კულტურის დაუფლების ნამდვილ კერად.

მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც კლუბში სწავლობს და რომელსაც ახსოვს ხალხის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგი— არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის დავუთმობთ — დაჟინებით ეუფლება რთულ საავიაციო ტექნიკას და ამით მზად არის პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე დადგეს თავისი საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის უფროსი
ხაცრინოვი

აეროკლუბის გამგეობის თავმჯდომარე — გ. სტურუა.

აეროკლუბის უფროსი
ა. ოდიშარია

მასობრივი ავიაციის განვითარებისათვის

საბჭოთა ავიაციამ, მოწინავე ტექნიკის და მამაცი ადამიანების ამ სფერომ, სამართლიანად დაიმსახურა მშრომელთა მილიონების სიყვარული. იგი ახალახალ მსოფლიო რეკორდებს ამყარებს და ამით კიდევ უფრო მიუდგომელს ხდის საბჭოთა ქვეყნის საჰაერო საზღვრებს.

ავიაცია თანდათან იჭრება სოციალისტურ მშენებლობის სხვადასხვა უბნებში, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობასა და ყოფაცხოვრებაში.

მასობრივი საავიაციო მოძრაობა ჩაღდება მშრომელთა შორის, განსაკუთრებით საბჭოთა ახალგაზრდობაში. თვითმფრინავი — სიმამაცის, სიდინჯის და ნებისყოფის ეს საუკეთესო საჰაერო სკოლა, ანდამატივით იზიდავს ასეულ ათასობით ადამიანებს, საჰაერო გატაცებულთ ხომალდის მართვის ცოდნის წყურვილით, საჰაერო სპორტით და სამშობლოს სიყვარულით.

და ამიტომაც, მხოლოდ ჩვენში, თავისუფალი შრომის ქვეყანაშია შექმნილი ყველა პირობა მასობრივი ავიაციის, ფართოდ განვითარებისა და საჰაერო კლუბების მოწყობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო ამ მიზნით დიდ თანხებს ხარჯავს. მაგრამ ამ საქმეში ფართო საბჭოთა საზოგადოებრივობის მონაწილეობა მასობრივი ავიაციის ჩქარი ტემპებით განვითარების აუცილებელი პირობაა.

საჭიროა მასებში ღრმად ჩავნერგოთ სასპორტო ავიაციის, კერძოდ პარაშუტის სიყვარული, მოვაწყოთ საჰაერო კლუბები, გამოვზარდოთ მამაც მფრინავთა ახალი კადრები, რომ ავიაცია გახდეს ადამიანთა ყოველდღიური შრომის, დასვენების და ყოფაცხოვრების ორგანიული შემადგენელი ნაწილი.

საქართველოში ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთდა. პარაშუტსა და თვითმფრინავს ახლა არც ისე იშვიათად ვხედავთ ცაზე. მაგრამ უფრო მეტი სამუშაო წინ გვაქვს. ამ სამუშაოთა დაჩქარებას და მასობრივი ავიაციის, კერძოდ საპარაშუტო სპორტის განვითარებას ემსახურება მშრომელთა სახსრების ნებაყოფლობით შეგროვების კამპანიაც, რომელიც დღეიდან იწყება საქართველოში.

საქართველოს მშრომელებმა საკუთარი სახსრებით ბევრი გააკეთეს ჩვენი ავიაციისათვის. მათ აავეს „კომუნისტის“ საუცხოვო ესკადრილია 6 თვითმფრინავისაგან. ისინი აწყობენ ახალ ჰაეროდრომებს და საერთოდ თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან ავიაციის დღეს—18 აგვისტოს.

ეს კამპანია კი, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა და ყველა ორგანიზაცია, კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს მიღწევებს ამ დარგში და დიდათ შეუწყობს ხელს ორდენოსან საქართველოს გახდომას ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად ავიაციის, კერძოდ საჰაერო კლუბების და საპარაშუტო სპორტის დარგშიც.

მაშ ასე! ორდენოსან საქართველოს შესაფერ მასობრივი ავიაციისათვის! სანიმუშო საჰაერო კლუბებისათვის.

აეროკლუბების ფონდში

საქართველოს სარეწაო კავშირმა შეაგროვა ნებაყოფლობითი საფუძველზე 35.000 მანეთი, იძენს თვითმფრინავს „აირ—6“ თავდაცვა-ავიაქიმისათვის ტფილისის აეროკლუბზე გადასაცემად და იწვევს აზერბეიჯანისა და სომხეთის სარეწაო კავშირებს.

★

„კომუნისტის“ რედაქცია შეაქვს საქ. აეროკლუბების ფონდში 500 მ. და იწვევს „ზარია ვოსტოკას“, „ტიფლისკი რაბოჩის“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „მუშას“, „კოლექტივიზაციას“ და რაიონული გაზეთების რედაქციებს.

★

„კომუნისტის“ ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტს შეაქვს საქართველოს აეროკლუბების ფონდში 500 მანეთი.

★

საქართველოს აეროკლუბების ფონდისათვის შეგროვილი თანხები შეტანილი უნდა იქნეს ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის მიმდინარე ანგარიშზე № 1603 სახბანკის ტფილისის განყოფილებაში.

საპარაშუტო კოშკების მშენებლობა

ავიაციის დღეს, — 18 აგვისტოს, რესპუბლიკაში საფუძველს ჩაუყრიან ახალ საპარაშუტო კოშკებს: ტფილისში ორ კოშკს, ხოლო ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ბათომში, ლუქსემბურგში და ამბროლაურში თითო კოშკს.

ამავე დღისათვის დამთავრდება და გაიხსნება ორი ახალი კოშკი: ტფილისში — კომუნარების ბაღში—და ქუთაისში. კოშკებზე დასადგამ გადმოსახტომ კონსტრუქციებს ამზადებს კალინინის სახ. ქარხანა.

ქუთაისი-სამტრედია-ბათომი

ავიაციის დღის — 18 აგვისტოს იხსნება ახალი საფოსტო - სამგზავრო საბარგო საჰაერო ხაზი ქუთაისი - სამტრედია - კობულეთი - ბათომი - მახარაძე. საჰაერო მიმოსვლას ამ ხაზით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ამ ხაზით თვითმფრინავებით გადაიტანენ ჩაის, ციტრუსებს, ყვავილებს და სხვ. რომ შემდეგ გაგზავნონ საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში.

ველო გადარბენა

ლენინგრადი-ტფილისი-ლენინგრადი

ყოველწლიურად საფრანგეთში იმართება დიდი ველო-მარულა 4.700 კილომეტრის მანძილზე. ეს ყველაზე უფრო დიდი ველოგადარბენაა, რომელსაც დღემდე იცნობდა მსოფლიო.

გადარბენის კომანდორი ამხ. ბარანასკი

—:—

შარშან საბჭოთა კავშირში მოწყობილმა გადარბენამ (7000 კილომეტრი) დაჩრდილა მსოფლიო რეკორდები.

ველოგადარბენამ ლენინგრადი — ტფილისი — ლენინგრადი (12 ათასი კილომეტრი) რომელიც თავდაცვისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატების მიერ არის მოწყობილი და რომლის მონაწილენიც გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ, უკან უნდა დასტოვოს შარშანდელი რეკორდი.

გადარბენის მონაწილეებმა უკვე 7 ათასი კილომეტრი გაიარეს. ყოველ 10 დღეში ხდება მათი სამედიცინო შემოწმება. ისინი საუცხოვოდ გრძნობენ თავს. ზოგიერთმა წონაშიც კი მოიმატა.

დღეს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე, გადარბენის მონაწილენი ტფილისიდან გავლენ ბათომისკენ, იქიდან კი ნოვოროსიისკში.

30 წლის წინათ

1—12 აგვისტო

★ ჟენევაში, აგვისტოს პირველ რიცხვებში ცალკე წიგნათ გამოვიდა ლენინის ცნობილი შრომა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომელმაც ბოლშევიზმის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა.

✪ **ნოვოროსიისკში** დახვრიტეს რკინისგზის გაფიცული მუშები. რამოდენიმე დღის შემდეგ კი ქალაქსა და ნავთსადგურში სამხედრო წესები შემოიღეს.

✪ **ეკატერინოსლავში** კაზაკებმა მოაწყვეს ებრაელ მოსახლეობის დარბევა. ამასთან დაკავშირებით შეტაკებანი ხდებოდა პოლიცია-კაზაკებსა და სოციალ-დემოკრატიულ თავდაცვით რაზმებს შორის.

✪ **რიგაში** გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები. შემდეგ ამას მოჰყვა ქალაქში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება და შეტაკებანი მუშებსა და პოლიციას შორის.

✪ **კურლანდიაში** დაიწყო სოფლის მეურნეობის მუშათა საყოველთაო გაფიცვა.

✪ **კოვნოში** გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა და შესდგა დემონსტრაციები. ამის გამო, პოლიციასა და მუშებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა.

✪ **პორტსმუტში** დაიწყო რუსეთ-იაპონიის საზავო მოლაპარაკება.

✪ **მოგილიოვში** ჯარებმა დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია.

✪ **რაჭის** მაზრის სხვადასხვა სოფლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს; გლეხები ბოიკოტს უცხადებენ მთავრობის დაწესებულებებს.

შემთხვევები

⌗ **ქურდობა.** 22 ივლისს ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კანცელარიიდან შერჩეული გასაღების საშუალებით მოიპარეს ორი საბეჭდი მანქანა. მილიციის მეოთხე განყოფილებამ მიღებული ზომებით გატაცებული მანქანები აღმოაჩინა. ქურდები—ი. ს. გაგნიძე (შრომის ქ. № 21), ტ. ტ. ტიტვინიძე (სამოსწავლო შესახ. № 2), ა. ი. კვაჭანტირაძე (ფოთის ქუჩა № 37) და გ. ს. ჭოლაძე (იაზონის ქ. № 12) შეიპყრეს.

⌗ **გაუფრთხილებელი სვლა.** პლეხანოვის პროსპექტზე № 11 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი მ. გ. ჯანჩიოვი) დიდი სისწრაფით სვლის დროს დაეჯახა საბარგო ავტომანქანას. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანა შორს გადაფარდა და დაეჯახა იქვე მდგომ ორ ავტომობილს. სამივე ავტომანქანა დაზიანდა. ვატმანი პასუხისგებაშია მიცემული.

⌗ **ქურდის დაპატიმრება.** მშენებელ მუშათა საერთო საცხოვრებლის (ყორესის ქ. № 5) გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს ა. მ. მანველოვი.

⌗ **ხულიგნები.** ხულიგნობისა და სროლისათვის ფუნიკულიორზე დააპატიმრეს მთვრალი პ. ი. საჯაია (ტრიბუნალის ქ. № 31). დებოშისა და მილიციისადმი ურჩობისათვის შეიპყრეს ტ. ლ. ისაკაძე. დებოშირებს პასუხისგებაში აძლევენ.

მუშა-მწერლების ექსკურსია

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თაოსნობით, დღეს 12 აგვისტოს ყაზბეგის რაიონში მიემგზავრება პლეხანოვის კლუბთან არსებული სალიტერატურო წრის წევრების ერთი ჯგუფი—ადგილობრივი მშენებლობის, კოლმეურნეობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაცნობად.

მუშა მწერლების ჯგუფში შედიან: გრ. ტაბატაძე, ტიტე ჯვარშეიშვილი, ალ. უგულავა და დ. ჯღარკავა.

ექსკურსიას ხელმძღვანელობს პოეტი ვასო გორგაძე.

სპორტი

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

ტფილისის სახცირკში 11, 12 და 13 აგვისტოს ტარდება სრულიად საქართველოს შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა რაიონის საუკეთესო ფალავნები. მათ შორის ტფილისიდან შეჯიბრებაში გამოვლენ: ოთარ აბუაშვილი, შ. ჯიჯიაშვილი, პაპიაშვილი და სხვ. გორიდან: იასაშვილი, ნაკაშაშვილი და ბერიაშვილი. საგარეჯოდან მეკოკიშვილი და სხვ.

ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი ხაიბერი
დამკვრელი (სახ.-სახამთ.) 6-30, 8, 9-30 11	ადამიანი და ლივრეია
ტემპი (სახაფხ. ხმოვანი) 9, 11	ხმ მოკლე ფილმი—წმ. იორგენის დღესასწაული პროგრამაშია—ხმოვანი კინო-ნარკვევი—დღე ბათომში
რ. ლიუქსემბურგის სახ 7, 9, 11	სენსაციის დაღუპვა
[illegible] სახამთ. 9 10-30	ცოცხალი ღმერთი
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	სახაფხ.—ბიძორ სახამთ.—ხმოვ. სურათი—არის მეტრო
კომინტერნი სახაფხ. (დიდუბეში). 9, 10-15	მილორდ მაკ-გრიუ

„საქვაჭრობა“-მ

1-ლ აგვისტოდან გახსნა 19 თებერვლის ქ. № 80-ზე
სარემონტო-სამშენებ. მასალათა მაღაზია № 6.
მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ მაღაზიაში ბინების სარემონტოდ ყველა საჭირო სარემონტო-სამშენებლო მასალა: ლურსმნები, ფანჯრის მინა, ოლიფა, საღებავი, ლაქი, სახურავი რკინა, ელექტრომასალა, ცემენტი, ცარცი, ალებასტრი, ტოლე, კირი, ფირფირ-ცარი (ფანერა), გვალერი, კლიტე-გასაღები, ურდული და სხვა. 12—6 359

ჩხარის რაისახ. სასამართლოს აღმასრულებელი აქით აცხადებს,
რომ ა/წ. 16 აგვისტოს, დღის 11 საათზე და საღამოს 5 საათზე, თანახმად სახელმწიფო არბიტრის ბრძანებისა № 4/428 1934 წ. 9 ივლისის თარიღით, დაბა ჩხარში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

არტელ „თვითმშრომელის“ მოძრავი ქონება, საქ. სარეწაო კავშის ქუთაისის სავაჭროს 16909 მან. 40 კაპ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. გაიყიდება შემდეგი ქონება: ერთი დუქანი (ქვიტკირის) 2750 მან., ერთი დუქანი (ხის) 1550 მან., ერთი პატარა მაგიდა 150 მან., სამი საკანცელარიო შკაფი 270 მან., ორი საანგარიშო—100 მან., სამი ვენური სკამი 60 მან., ერთი დიდი სასწორი 250 მან., სულ 5130 მან

9164 ჩხარის რაი სახ. სასამართ. აღმასრულებელი—გიგაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიური სავეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ინსტიტუტში შემსვლელთათვის განცხადებების მიღება გრძელდება ა/წ. 20 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები დაიწყება ა/წ. 25 აგვისტოდან.

ინსტიტუტის დირექტორი ს. თოხაძე.
9167

კიწი და თამარა კემულარიები მწუხარებით იუწყებიან ვასო ანთიძის ვაჟის
კატარა ვასიკო ანთიძის
უდროოდ დაკარგვას. 9160

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკუთხედი მწუხარებით იუწყება დოცენტის
ამხ. გრიგოლ მიხეილისძე ნუცუბიძის
უდროოდ გარდაცვალებას.

დამცველთა კოლეგიის წევრები: ი. ბარათაშვილი, ე. ჩახუნაშვილი, მ. ხუბერიანი, ა. ჩაჩავა, ვ. ლომინაძე, გ. რობაქიძე, ვ. გავაშელი, ი. კალანდაძე, გ. ჩაჩავა პ. ლომია, გ. ზარულავა, გ. კუკაბიძე, დ. არონიშიძე იუწყებიან ამხ. მექი კანდელაკის მამის
სპირიდონ ოქროპირის-ძე კანდელაკის
გარდაცვალებას. 9169

დედა მარიამ წულუკიძე, ძმა სიმონი, შვილები თამარი და გიგი, ძმისწულები საშა და მეგი მეუღლით ავთანდილი უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან, რომ 10 აგვისტოს გარდაიცვალა
ექ. ეკატერინე გრიგოლის ასული წულუკიძე
დაკრძალვა ბათომში 13 აგვისტოს. საღ. 5 საათზე

უახლოესი ნათესავები ესვანჯია დიმიტრი, ცოლი ეფროსინე, შვილები ერგო, ილია, გრიშა, რძალი პაშა უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამენ
ანდრო ვახანიას
გარდაცვალების გამო. 9168

მშობლები: დარია, დავითი, დები: შურა, ვერა, ვარა, ანიკო, ნუნუკო მაჭავარიანები, სიძე ლევან მეძმარიაშვილი, ბიძები: ანდრო, გრიგოლ დევდარიანები ცოლშვილით, ბიძები: ვანო, სიპიტო, იაკინთე მაჭავარიანები ცოლ შვილით იუწყებიან
შურა მაჭავარიანის
გარდაცვალებას. 373

საქ. მუზეუმის დირექცია და პარტკომკავშირის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, ჩვენი პარტორგანიზაციის წევრის, დოცენტ
გრიგოლ მიხეილის-ძე ნუცუბიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიდჯიხაიშში 12 აგვისტოს. 9157

თამარა აგაპეკოვის ასული წვერავა შვილებით: ლენა და მუსიათი აუწყებენ საყვარელ ქმრის და მამიკოს
ნიკოლოზ ესტატეს-ძე წვერავას
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 7 სახ. საათზე გამოსვენება 13 აგვისტოს, 6 ს. ბინიდან პლეხანოვის ქ. № 76 კუკიის სასაფლაოზე. 9161

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექცია და სამხარეთმცოდნეო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელის, საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის —დოცენტ
გრიშა ნუცუბიძის
უდროოთ გარდაცვალებას. 9159

დათიკო, ლილი, ჩაყვალა და ელგუჯა ფანცულაიები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავის საყვარელი ბიძაშვილის
ნიკოლოზ ესტატეს-ძე წვერავას
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 13 აგვისტოს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან მეჩნიკოვის ქ. № 1. 9166

დამწუხრებული მშობლები: დარია, დავითი, დები: შურა, ვერა, ვარა, ანიკო და ნუნუკო იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ
შურა (გიორგი) მაჭავარიანის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. ბორჯომში, 10 აგვისტოს. 372

ამხ. ვასო ანთიძის უახლოესი მეგობრები: აფთონ ანთიძე, ა. დარჩიევი, დ. ჩიქვაიძე, მ. საყვარელიძე, გ. კარაზანი, ე. ტრაპაიძე, ე. ასათიანი და ს. ხითაროვი მწუხარებას გამოსთქვამენ მისი ვაჟის
პატარა ვასიკოს
უდროოდ გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 12 აგვისტოს 8 ს. პლეხანოვის № 93. 9165

განსახკომის სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუსამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის დირექტორის დოცენტ
გრიშა ნუცუბიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დიდ-ჯიხაიშში 12 აგვისტოს. 9163

ბიძია იაშა, ბებია მენიკი, ბიცოლა მარია ანთიძეები იუწყებიან ძვირფასის პაწია
ვასიკო ანთიძის
უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 აგვისტოს 8 ს. პლეხანოვის ქ. № 93, დაკრძალვა 13 აგვისტოს 5 ს. გამოსვენება ბინიდან. 9162

დამწუხრებული მშობლები: ქრისტინე და ზოსიმე, ძმა ანტონ ჟღენტები, და ლუბა სიძე კოლია, დისშვილები: ანზორ და ლამარა წერეთლები იუწყებიან
თამარი ზოსიმეს ას. ჩხეიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 9170

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—83, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტ-მშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3— 61—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 8468